838 N 13.074 (58) VII–XII

# თავისუფალი საქართველო

№ 13
23 ივნისი - 3 ივლისი 1995 წ.
ფასი 1000 რუბლის შესაბამისი კუპონი
ინდექსი 66421
სარეგისტრაციო მოწმობის № 0441

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

## რედაქტორის სვეტი

ამბობენ, საინტერესო დროში ცხოვრება დაწყევლას უდრისო, ეს არ არის მართალი. რა მძიმეც არ უნდა იყოს განსაცდელი, რომელსაც განგება გვთავაზობს, სიცოცხლე, მოქმედება, მონაწილეობა იმაში, რაც ხდება, ინტენსიური განცდა ახლობელი თუ შორეული პროცესებისა გაცილებით ღირებულია, ვიდრე უინტერესო დროში მშვიდი, ერთფეროვანი ცხოვრება.

ნამრახია მხოლოდ პირადულისთვის დახარჯული არსებობა. რაოდენ აღემატება ასეთ სიცოცხლეს მშვენიერი სიკვდილი. ეს მხოლოდ რუსთაველის პერიფრაზა არ არის. ეს რეალობაა. როგორი ილუზიებითაც არ უნდა გავირთოთ თავი, სიმართლე ერთია, ყველა დროს კაცი იმით იზომებოდა, საზოგადოებისთვის რა სარგებელი მოჰქონდა. ჩვენ მთლიან სამყაროში ვცხოვრობთ და თვით ყველაზე ჩარჩაკეტილი ადამიანიც კი ინტენსიურ თანამოქმედებაშია გარე სამყაროსთან. ამიტომ ყოველთვის აქვს აზრი ზოგადის, მთლიანის სასარგებლოდ გარჯას, რადგან საბოლოოდ მადლი ისევ მის შემოქმედს უბრუნდება.

ამ კანონს ერების ისტორიაც იმეორებს. ის ერები, რომლებიც მიუხედავად პოლიტიკური თუ ეკონომიკური კონიუნქტურისა ახერხებენ მარადიული ფასეულობების ერთგულებას, თავის თავსაც ინარჩუნებენ და სხვისთვისაც უდიდესი სიკეთე მოაქვთ, სრულყოფისკენ სწრაფვის აუცილებლობის შეგრძნებას უხანგრძლივებენ მსოფლიოს. ხოლო სამყაროში, რომელსაც სწამს სიკეთის უპირობო პრიორიტეტის ყველა სხვა ღირებულებებთან შედარებით, უსაფრთხო და მარტივია ცხოვრება.

თავისუფლებისთვის მებრძოლი ყველა ერი მართალია ღმერთისა და ერის წინაშე, რადგან ის თავისი თავგანწირვით სხვებშიც აღძრავს სრულყოფის სურვილს.

ერთა ისტორიაში ყოფილა შემთხვევები, როცა ნამდვილ ვაჟკაცობას მტერიც კი ისეთ აღფრთოვანებაში მოუყვანია, რომ მთელი მისი ცხოვრება უკეთესობისკენ შეუცვლია. დღეს სამყარო სხვა კანონებით ცხოვრობს...

მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტზე იღვრება სისხლი. თანამედროვეობა არნახული ენებების თეატრად გადაიქცა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ერთმანეთს შეეყარა ცა და ქვეყანა. კავკასიაც ჩართულია ამ ორომტრიალში. აქ სრულად აისახება ყველა ზნეობრივი თუ მერკანტილური ინტერესი, რომელიც მსოფლიოს მართავს. თავგანწირული პატარა ქვეყანა ურთიერთსაპირისპირო ინტერესებს შორის უმოწყალოდ ნადგურდება, მაგრამ მის ბრძოლას ალტერნატივა არ გააჩნია.

უფრო დიდი განსაცდელი, ვიდრე საკუთარ უსუსურობასთან შეგუება, ერისთვის არ არსებობს. ეს დამღუპველი კომპრომისია, რომელიც მას უპირობო განადგურებისკენ უბიძგებს. ამ დამღუპველ პროცესს უპირისპირდება დღეს ჩეჩნეთი და აჩვენებს მთელ მსოფლიოს რა დიდ ძალას შეიძლება წარმოადგენდეს სულის სიმხნევე, საკუთარი სისხლის ფასად ასწავლის, რომ თავგანწირვა თრგუნავს ძალთა ნებისმიერ, თუნდაც ყველაზე წამგებიან თანაფარდობას.

რაოდენი თავგანწირვაა საჭირო იმისთვის, რომ პატარა ქვეყანამ აიძულოს დიდი, ძლიერი, წარმატებული ქვეყნები ანგარიში გაუწიონ მის ნებას, მაგრამ როგორი განუმეორებელი ნიჭიერებით ახერხებს ამას ჩეჩნეთი!

ის, რისთვისაც ჩეჩნეთი იბრძვის, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთი რომელიმე ერის თავისუფლება. სამყაროს ერთიანობის კანონიდან გამომდინარე, ჩეჩნები იმის მომავლისთვისაც იბრძვიან, ვინც მათ დღეს ასე სასტიკად უსწორდება და იმის გადასარჩენადაც, ვინც აუღელვებელი გულგრილობით ადევნებს თვალყურს მათ თავგანწირვას.

მსოფლიოს ინტერესი კავკასიისკენ არის მიპყრობილი. აქ მართლაც უცნაური ამბები ხდება.

...ტერორისტი მოითხოვს მშვიდობას - რა უნდა იყოს უფრო დამაფიქრებელი დიდად დემოკრატიული, ცივილიზებული მსოფლიოსთვის, ვიდრე მოხალისე მძევლებით დახუნძლული ეს მოხდენილი ექსპედიცია.

ჩეჩნეთმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა თავისი თავის, კავკასიის და მთელი მსოფლიოს გადარჩენისთვის.

## ქალბატონი ლეკროი უდანაშაულობის პრეზუმფციის წინააღმდეგ

როგორც ადრე გაცნობეთ, "ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა" გახმაურებული საქმის გამო 1995 წლის თებერვალში საქართველოში იმყოფებოდნენ ადამიანის უფლებათა ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფის ორი წარმომადგენელი - ბ-ნი ოლივერ რუქი და ქ-ნი სელია პალმერი. ამავე წლის მარტში მათ ანგარიში წარუდგინეს ზემოხსენებულ ორგანიზაციას საქართველოში ამ ვიზიტის შესახებ. სხვა საინტერესო ფაქტებსა და ინტერვიუებს შორის გამოვყოფთ გასაუბრებას აშშ-ს საელჩოს პოლიტიკური და ეკონომიკური განყოფილების უფროსთან, ქ-ნ ჯესიკა ლეკროისთან.

"... როგორც ჩვენს ადრინდელ ანგარიშში აღვნიშნეთ, ცივი ომის დასასრულისთვის ამერიკის პოლიტიკას საქართველოს მიმართ განსაზღვრავდა ბეიკერ-შევარდნაძის მეგობრობა, რამაც ძალიან გაართულა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტისა და სხვა ოფიციალური სტრუქტურების მიერ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან დაშვებული დარღვევების აღიარება.

მან (ჯესიკა ლეკროიმ) თქვა: "ამ დანაშაულებების ჩამდენთა წინააღმდეგ უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი არსებობს. ეს პატიმრები კიდევაც რომ გაეთავისუფლებინათ, მათ ლინჩის წესით გაასამართლებდნენ. საქართველოს ხელისუფალნი ერთობ გაანაწყენა ჰელსინკი ვოჩის ანგარიშებმა (შევარდნაძის არასწორი ციტირების გამო), რაც მათ შესაძლებლობას აძლევს უგულებელყონ ისინი. აქ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს დასავლეთი მხოლოდ კრიტიკით კმაყოფილდება, კონკრეტულ დახმარებას კი არ სთავაზობს. ფაქტობრივად, საქართველოს ხელისუფლებამ სთხოვა ადამიანის უფლებათა დამცველებს გაანათლონ პოლიცია. მე მივესალმებოდი ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც მთავრობასაც შეუნარჩუნებდა თავის სახეს და ხელახალ სასამართლო განხილვასაც შესაძლებელს გახდიდა.

პროცესზე განსასჯელთა მოქმედებამ ისეთი შთაბეჭდილება შემიქმნა, რომ ამგვარი საქციელისთვის მათ ნებისმიერი სასამართლოდან გააძევებდნენ. მათ წინააღმდეგ მნიშვნელოვანი მტკიცებულებები არსებობს და პირადად მე ვგრძნობ, რომ ისინი დამნაშავენი არიან, მათი ნათესავები შემომჩიოდნენ სასამართლო პროცედურის შესახებ, მაგრამ არასდროს წამოსცდენიათ, რომ ისინი უდანაშაულონი არიან."

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა არც ერთ ჯგუფს არასდროს უმსჯელია განსასჯელთა შესაძლებელი დამნაშავეობის ან უდანაშაულობის შესახებ. მათი შენიშვნები ყოველთვის პატიმრებთან მოპყრობის და სასამართლოს მიმდინარეობის საკითხებს უკავშირდებოდა. ეს წორედ ის საკითხებია, რომელიც უშუალოდ ეხება კრიმინალური პროცედურის კანონიერებას სამართალწარმოებაში. დოქტორ რუქსა და დოქტორ პალმერს არასდროს უკითხავთ და არც დაინტერესებულან გაერკვიათ რომელიმე რესპოდენტის აზრი პატიმართა დამნაშავეობის ან უდანაშაულობის შესახებ. ამის აღნიშვნა, ალბათ, არადიპლომატიური იყო ქ-ნი ლეკროის მხრიდან.

("საქართველო: პატიმართა წამებები და საპროცესო დარღვევები № 7493810 საქმეში")

ვგონებთ, კომენტარი ზედმეტია, ერთს დავუმატებთ მხოლოდ: განსასჯელთა ახლობლების ცნობით, ქ-ნი ლეკროი, მიუხედავად მათი დაჟინებული მოთხოვნისა, მხოლოდ ორჯერ დაესწრო აღნიშნულ სასამართლო პროცესს. პირველად ხანმოკლე ვიზიტით შემოიარა სასამართლოში, განაჩენს კი ბოლომდე დაესწრო. ერთხელ იგი მისმა მდივანმა, ქ-მა მ.ღოღობერიძემ შეცვალა. საინტერესოა, რომ ქ-ნი ლეკროის წინამორბედი, ქ-ნი ქენდი გრინი ასევე სულ რამდენჯერმე დაესწრო პროცესს იგივე მ.ღოღობერიძესთან ერთად, მაგრამ მისთვის რატომღაც საკმარისი აღმოჩნდა ეს დრო, რათა შეემჩნია ამ გახმაურებული საქმის ზოგიერთი დარღვევა.

კიდევ ერთს დავძენდით: პიროვნების დამნაშავეობის ან უდანაშაულობის დასადგენად შესაბამისი, თუნდაც არაკომპეტენტური, ორგანოები არსებობს საქართველოში. აშშ-ს საელჩოში საჩივლელად მისული განსასჯელთა ახლობლების ერთადერთ მიზანს კი იმ უამრავი დარღვევების დაფიქსირება წარმოადგენდა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ამ "საქმის" მთელი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პერიოდში.

რაც შეეხება ქ-ნი ლეკროის მიერ მიცემულ ინტერვიუს, გვინდა შეგახსენოთ - 1995 წლის თებერვალში უზენაესი სასამართლოს მიერ განაჩენით ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი განსასჯელთა ბრალი. ამდენად, ჩვენ სრული უფლება გვაქვს განვიხილოთ ქ-ნი ლეკროის მსჯელობა პატიმართა ბრალეულობის შესახებ, როგორც კიდევ ერთი ფაქტი აშკარა ზეწოლისა საქართველოს მართლმსაჯულების წარმომადგენლებზე.

## მოვითხოვთ განაჩენის გაუქმებას

### საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს

**პატივცემულო სახელმწიფოს მეთაურო**

ჩვენ დიდად შეგვაშფოთა სასამართლოს მიერ გამოტანილმა სასიკვდილო განაჩენმა ორი პატიმრის, ბატონების - ი.დოკვაძისა და პ.გელბახიანის მიმართ. ვითვალისწინებთ რა, რომ თქვენ თქვენი ხმა შეუერთეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ მორატორიუმს სიკვდილით დასჯაზე, მოგმართავთ თხოვნით - მიიღოთ ყველა შესაძლებელი ზომა ამ განაჩენის გასაუქმებლად

ადელაიდა ალიეტა - იტალიის პარლამენტის წევრი, მწვანეთა პარტის ჯგუფის თავმჯდომარე
ელხადი ალელე ხაბიბუ - ნიგერიის პარლამენტის წევრი, "აფრიკელი პარლამენტარები სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ" ლიგის თავმჯდომარე
გვანდონატო კაჯიანო - პროფესორი, იტალიის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექტორი
ალმა აგატო კაპიელო - იტალიის პარლამენტის წევრი
ლილიანა კავანი - იტალიელი რეჟისორი
ადამ დემაკი - სახაროვის სახელობის პრემიის ლაურეატი, კოსოვო
ტიციანა მაიოლო - იტალიის პარლამენტის წევრი
იოკუბას მინკიავიჩუსი - ლიტვა
სონია მლადენოვა - ბულგარეთის პარლამენტის წევრი
მარკო პანელა - ეროპარლამენტის წევრი, იტალია
აბდუს სალამი - ნობელის პრემიის ლაურეატი
მარკო ტარადაში - იტალიის პარლამენტის წევრი
გაკო აპოსტოლი - ალბანეთის პარლამენტის წევრი
იგორ ბეზრუკოვი - ადვოკატი, რუსეთი
ალბერო კასტელი - ბრაზილიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის დირექტორი
პაოლო ჩეზარი - ჟურნალისტი, იტალია
სერჯიო დელა - იტალია
ოლივიე დიუპუა - რადიკალური პარტიის მდივანი
შამირ ლაბიდი - ადვოკატი, ტუნისი
მარციან ჩუჩუკი - უკრაინის პარლამენტის წევრი
პეტრუ მუნტეანუ - მოლდავეთის პარლამენტის წევრი
იბრაჰიმ ნ'დურე - მალის პარლამენტის წევრი

## ტერორი საქართველოში გრძელდება

20 ივნისს სახლიდან გამოსვლისას მოკლეს ყოფილი პარტიული ფუნქციონერი, შევარდნაძის ამჟამინდელი ადმინისტრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა, სოლიკო ხაბეიშვილი. ცხადია, ანგარიშსწორების ის ფორმა, რომელიც ამ ბოლო დროს დამკვიდრდა საქართველოში ცალსახად მიუღებელია. ნორმალურ ქვეყანაში რომ ვცხოვრობდეთ, "თავისუფალი საქართველო" აუცილებლად გამოხატავდა მტკიცე პროტესტს ამ ყოვლად აღმაშფოთებელი ფაქტის გამო, მაგრამ ამჯერად თავს ვიკავებთ ჩვენი აზრის საჯაროდ გამოთქმისგან. გვეშინია, მოწოდებამ - ქუჩებში არ ხოცონ პოლიტიკური თუ ფინანსური კონკურენტები, ჩვენს წინააღმდეგ ახალი სისხლის სამართლის საქმის აღძვრა არ გამოიწვიოს.

გ. ჭანტურიას მკვლელობასთან დაკავშირებით ერთხელ უკვე დავუშვით ამგვარი შეცდომა, რასაც სამართალდამცავი ორგანოების დაუყოვნებელი რეაქცია მოჰყვა. საქმე "თავისუფალი საქართველოს" მიმართ დღემდე არ არის დახურული, იძიებენ არის თუ არა ვინმესთვის შეურაცხმყოფელი მოწოდება - ძაღლებივით არ ხოცონ ადამიანები ქუჩებში.

ჩვენ ახალი გართულებები არაფერში გვჭირდება, ამიტომ თავს ვიკავებთ შეფასებისგან და მხოლოდ კონსტატაციას ვახდენთ - ტერორი საქართველოში გრძელდება.

### ზვიად გამსახურდია

# საქართველოს ყოფნა-არყოფნა

**ახლა ყველა საფუძველი გვაქვს წარმოვადგინოთ ამოცანა: გადავაქციოთ საქართველო განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში ეროვნებათაშორისი ურთიერთობის შემდგომი სრულყოფის თავისებურ ლაბორატორიად, ყოველივე მიღწეული შესაძლებლობას გვაძლევს დავისახოთ ასეთი ამოცანა.**

**ე.შევარდნაძე, სიტყვა 1985 წლის 4 ივლისის პლენუმზე, გაზ. „კომუნისტი". 7 ივლისი, 1985 წელი.**

სიმართლე ფერ-უმარილს არ საჭიროებს და ამიტომ თავიდანვე საქმეზე ვისაუბრებ.

რამ განაპირობა ესოდენ კატასტროფული მდგომარეობა ჩვენი ერისა დღეს, ცივილიზებულ ეპოქაში, მეოცე საუკუნეში, მაშინ, როდესაც სხვები ეროვნულ-კულტურული და დემოგრაფიული აღორძინების გზაზე დგანან?

შეგნების გადაგვარება, საერთოდ, ყოველგვარი გადაგვარების წყაროა. მაგრამ რამ გადააგვარა ჩვენში ეროვნული შეგნება?

რამ აუყარა ქართველ კაცს გული ეროვნულ და მოქალაქეობრივ იდეალებზე?

მოდით, ვეძებოთ რეალური მიზეზები და მერმე ვისაუბროთ შედეგებზე და მათი დაძლევის შესაძლებლობებზე.

რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი ერის სულიერი ცხოვრება?

რამდენად ქმედითნი არიან დღეს ის სულიერი და ეროვნული იდეალები, რომელნიც ასულდგმულებდნენ ჩვენს წინაპრებს, აძლევდნენ სტიმულს ბრძოლისას და შემოქმედებისას, შთაუნერგავდნენ მომავლის იმედს ისტორიული ძნელბედობის პერიოდებში? ან რამდენად მღვიძარებს დღეს ერის სული? ან რამდენად ეზიარება დღეს ჩვენი ერის ყველა ფენა თავისი კულტურის, აზროვნების, ლიტერატურის ტრადიციებს? რამდენად ცხოვრობს თავისი წინაპრების იდეალებით? უფრო მეტიც, რამდენად უწყის მან თავისი ეროვნული ვინაობა, სადაურობა, უწყის თუ არა მან თავისი ისტორია, თავისი რეალური მდგომარეობა აწმყოში და წარსულში, ან თავისი მომავლის პერსპექტივები?

ან რამდენად ქმედითია დღეს ჩვენში ზნეობრივი იდეალები ჩვენი წინაპრებისა? ან მათი მასულდგმულებელი რელიგიური იდეალები? ან რამდენად გააჩნია არსებობის უფლება რელიგიას, რომელიც ეროვნული კონსოლიდაციის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა და რომელმაც ისტორიის ამდენ ქარტეხილებს გადაარჩინა საქართველო? ერის ჯანსაღი სულიერი და ზნეობრივი ცხოვრება ხომ რელიგიის გარეშე შეუძლებელია. ამას გვიმოწმებს ისტორიული და ფილოსოფიური მეცნიერება. რამდენად აქვს შეგნებული ეს ყოველივე ჩვენს ინტელიგენციას?

**რელიგიური და ეროვნული შეგნების დაკნინებამ მოგვცა მხოლოდ და მხოლოდ ჩაცმა-დახურვაზე, სმა-ჭამაზე, მაღაზიებზე, ვიდეოფილმებზე, გართობაზე და ფეხბურთზე მოსაუბრე საზოგადოება, რომელიც არას დაგიდევთ არც ერის ტკივილებს და არც მისი ყოფნა-არყოფნის საკითხებს.**

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, ერის დემოგრაფიულ მდგომარეობას განაპირობებს მოსახლეობის ეკონომიკური პირობები. მოდით, გაბედულად გავუსწოროთ თვალი სიმართლეს: აქვს თუ არა ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობას ისეთი ეკონომიკური და საბინაო პირობები, რომ იყოლიოს ორი ან სამი შვილი? ვიდრე ჩვენში არ მოხდება სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები, შეუძლებელია დემოგრაფიული პრობლემის მოგვარება.

მე შორსა ვარ იმ განზრახვისაგან, რომ ჩვენს ახალგაზრდობას პესიმიზმი შთავუნერგო ზემოთქმულის დარი მსჯელობით. მიუხედავად ყველაფრისა, ოჯახები უნდა შეიქმნას და განმტკიცდეს, უნდა გვახსოვდეს, რომ მატერიალური გაჭირვება სირცხვილი არ არის, რომ გაჭირვებაში ცხოვრობდნენ და ქმნიდნენ მსოფლიოს უდიდესი ადამიანები ყველა ეპოქისა, რომ სირცხვილია და დასაგმობი სწორედ ის მეშჩანური კულტი სიმდიდრისა და კომფორტისა, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი, იგი მიუთითებს სულიერ სიდუხჭირესა და გადაგვარებაზე, პრიმიტიულ დონეზე და ჩამორჩენილობაზე. ოჯახების ნგრევა, ცოლ-ქმრის გაყრა სერიოზული საფუძვლის გარეშე, ბავშვების მიტოვება ბედის ანაბარად, ერის წინაშე დანაშაულად მიმაჩნია, რასაც უნდა ვებრძოლოთ ყველა ძალებით.

შემდეგი და ფრიად სავალალო გარემოებაა ქართული სოფლის დაცლა, რომელიც აგრეთვე ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია შობადობის შემცირებისა. არსებობს ზოგადი მიზეზები სოფლის დაცლისა, არსებობს აგრეთვე კერძო, სპეციფიკური მიზეზები, რომელნიც სხვადასხვაგვარია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

**ქართული სოფლის დაცლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია გლეხის ეკონომიკური მდგომარეობა.**

ეს დღემდე განპირობებული იყო იმით, რომ გლეხს არ ჰქონდა საკარმიდამოს გაზრდის უფლება, მის მფლობელობაში მყოფი პირუტყვის რაოდენობაც მკაცრად იყო ლიმიტირებული. მძიმე საკოლმეურნეო შრომა კი ვერ აძლევდა გლეხს სათანადო შემოსავალს, ამიტომაც აიყარა მან სოფელზე გული (იყო პერიოდი, მაგალითად, როდესაც გლეხს ჩვენში უფლება ჰქონდა მხოლოდ 1 ძროხის ყოლისა).

საერთოდ, დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილის გადაქცევამ ჩაისა და ციტრუსის კოლონიად დიდად ავნო ჩვენს ქვეყანას. გლეხი ვეღარ ხედავს მოსავლის პერსპექტივას, ჩაის კრეფა დღითი დღე აბერწებს ქალებს, ვინაიდან ქალისათვის ეს არაბუნებრივი შრომა უფრო და უფრო მძიმე ხდება.

ახლა გადავხედოთ საქართველოს სხვა რაიონებს.

აჭარის მთიანეთიდან მიმდინარეობს მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია რუსეთში, კრასნოდარის მხარეში, რისი მიზეზიც არის მიწის სიმცირე, ადგილობრივ თანამდებობის პირთა კორუფცია და უკანონობა, სოფლის კეთილმოუწყობლობა, ქრთამის გაძვირება და სხვა. კრასნოდარის მხარეში 1982 წელს 400-მდე ოჯახი იყო უკვე გადასახლებული, მიგრაცია კვლავაც გრძელდება, რუსეთში გადასახლებულ აჭარელთა შვილებს კი, ცხადია, ქართული აღარ ეცოდინებათ და თანდათანობით გარუსდებიან.

**ამა თუ იმ ერის ფიზიკური არსებობა ოდითგანვე დამოკიდებული იყო ერის სულზე, მის ფსიქიკურ წყობაზე, მის ეროვნულ ცნობიერებაზე. მსოფლმხედველობა, სულიერი სამყარო განაპირობებს ერის სოციალურ, კულტურულ თუ ეკონომიკურ ყოფას. როდესაც ერის სული და შეგნება კნინდება, მაშინ კნინდება მისი სახელმწიფოებრიობაც, მისი დემოგრაფიული სახეც; როდესაც ადამიანის სხეულს ტოვებს სული, იგი იწყებს გახრწნას. ასევეა ერი და საზოგადოება, ერის სული მაცოცხლებელია ეროვნული ორგანიზმისა, ჯანსაღი სულიერი ცხოვრება კი აღორძინებს მის სოციალურ და საზოგადოებრივ ყოფასაც.**

**ვით უნდა გამრავლდეს, მაგალითად, მესხეთ-ჯავახეთში, საინგილოსა და აფხაზეთში ქართული მოსახლეობა, რომელიც აქ ყოველგვარ დისკრიმინაციას და შევიწროებას განიცდის. არაქართულ მოსახლეობას კი ყოველნაირი პრიორიტეტი ენიჭება?**

ინტერნაციონალიზმი არ უნდა ნიშნავდეს ერთი ერისთვის პრიორიტეტის მინიჭებას მეორის ხარჯზე, ერისთვის საკუთარი ტერიტორიის წართმევას და მის გადაცემას მეზობელი ერისათვის.

რამ განაპირობა მესხეთ-ჯავახეთის თანდათანობით დაცლა ქართული მოსახლეობისაგან და მისი ავსება არაქართველი, კერძოდ, სომხური მოსახლეობით? იმან, რომ ისტორიულად ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკა მიზნად ისახავდა ამ მხარის თანდათანობით გადაცემას სომხეთისათვის, საქართველოს დანაწილებისა და ასიმილაციის მიზნით. დღეს ეს ტენდენცია, სამწუხაროდ, არ აღმოფხვრილა. ამას ნათელყოფს მრავალი ფაქტი, რომელთაგან ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს ჩამოვთვლით.

1) მთელი მესხეთ-ჯავახეთი წლების მანძილზე გამოცხადებული იყო სასაზღვრო ზონად, საქართველოს მოსახლეობას ეკრძალებოდა იქ ჩასვლა საშვის გარეშე, რაც დიდად აძნელებდა მისვლა-მოსვლას, მაშინ, როდესაც სომხეთიდან შესაძლებელი იყო იქ გადასვლა უსაშვოდ. რა არის ეს, თუ არა სომხური მოსახლეობისათვის პრივილეგიის მინიჭება მესხეთ-ჯავახეთის ათვისებაში? ასეთივე შედეგებს იწვევდა საშვთა სისტემა მთიან აჭარაშიც.

2) ჯავახეთის ქართული მოსახლეობისათვის შეიქმნა აუტანელი პირობები იმით, რომ არაქართული მოსახლეობის შოვინისტურად განწყობილი ნაწილი ავიწროებს დიდ უმცირესობაში მოქცეულ ქართულ მოსახლეობას და აიძულებს მას დატოვოს მშობლიური მიწა-წყალი, ვრცელდებოდა ანტიქართული პროკლამაციები, იხურებოდა ქართული სკოლები, ნადგურდებოდა ქართული კულტურის ძეგლები. ქართული სოფლებისთვის ჩამორთმეული ტრანსპორტი ეძლეოდათ არაქართულ სოფლებს.

3) ახალქალაქისა და ჯავახეთის სომხური სოფლების სისტემატური სტუმრებია სომხური კულტურის მოღვაწენი, რომელნიც თავიანთი აგიტაციით აღვივებენ მათში ექსპანსიონისტურ განწყობილებებს, რისი შედეგიც არის ქართველთა შევიწროება, ქართული კულტურის ძეგლთა განადგურება და სხვა ბარბაროსობა. მაგალითად, ძეგლი კუმურდო დღესაც იმის წყალობით დგას, რომ ჩვენი ძეგლთა დაცვის მუშაკები ატყუებენ სოფელს, თითქოს ეს სომხური არქიტექტურის ძეგლი იყოს, რის გამოც იგი დღემდე ხელშეუხებია.

4) ქართველი მწერლები და კულტურის მოღვაწენი კი არ ეკარებიან არა თუ ახალქალაქის რაიონს, არამედ არც ახალციხეს, ასპინძასა და ადიგენს (შესაძლოა, შიშის გამოც).

ვით უნდა გამრავლდეს, მაგალითად, აფხაზეთის ქართული მოსახლეობა? იქ აკრძალულია ქართველთა ჩაწერა, მათთვის მიწების გამოყოფა, სახლების მშენებლობა, ოჯახების გაყოფა, კადრების შერჩევა-განაწილებისას პრიორიტეტი ეძლევათ აფხაზური და სხვა ეროვნების კადრებს, მიუხედავად იმისა, რომ ქართველობა 48 პროცენტია, ხოლო აფხაზობა 16. ქართველთა დევნამ იქ ტერორისტული თავდასხმების ხასიათი მიიღო, გარდა ამისა, წინა წლების ანტიქართულმა ექსცესებმა გამოუსწორებელი ზიანი მოუტანა აფხაზეთის ქართველობას, მისი ნორმალური არსებობისა და მით უფრო გამრავლების პერსპექტივები აფხაზეთში გამოირიცხა.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ქ.სოხუმში, ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში 6 წლის მანძილზე გაუქმებული იყო სამშობიარო სახლი, ვითომდაც „რემონტის" მიზეზით. მოსახლეობა იძულებული იყო მიემართა ქ.დრანდის სამშობიარო სახლისთვის, რომელიც სოხუმიდან დაახლოებით 25 კილომეტრზეა. ამის შედეგი იყო ახალშობილთა სიკვდილიანობის ძალზე დიდი პროცენტი, რითაც უწინარეს ყოვლისა, დაზარალდა ქართული მოსახლეობა, რომელიც სიმრავლის მიხედვით პირველ ადგილზეა ქ.სოხუმში. ასე რომ, სოხუმში სამშობიარო სახლის ჯერ გახსნა ვენდისპანსერის შენობაში, ხოლო შემდეგ მისი ფაქტიური გაუქმება რამდენიმე წლით, მიზნად ისახავდა, უწინარეს ყოვლისა, ქართული მოსახლეობის უსისხლო გენოციდს. აქვე უნდა დავსძინო, რომ სამშობიარო სახლი წლების მანძილზე გაუქმებული იყო ქ. ფოთშიც, რასაც მრავალი მელოგინესა და ახალშობილის მსხვერპლი მოჰყვა, იგივე მდგომარეობაა ამჟამად ცხინვალის რ-ნის მთელ რიგ სოფლებში, სადაც მოსახლეობა შიშით ვერ სარგებლობს ცხინვალის სამშობიარო სახლით და გორის სამშობიარო სახლის იმედადაა, რომელიც 30 და მეტი კილომეტრითაა დაშორებული მათ სოფლებს. აქაც ხშირია ახალშობილთა დაღუპვის შემთხვევები. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სოხუმის სამშობიარო სახლი მოქმედი იყო, იგი დიდ საფრთხეს უქადდა მშობიარე კონტინგენტს და ახალშობილებს, ვინაიდან იგი მდებარეობდა, როგორც აღვნიშნეთ, ვენდისპანსერის ყოფილ შენობაში, რაც, სპეციალისტების აზრით, დაუშვებელია, ვინაიდან იწვევს მასობრივ სტაფილოკოკურ და სხვაგვარ ინფექციებს, სეფსისებს და სხვა, ძნელი დასაჯერებელია, რომ ყოველივე ეს „შემთხვევითია" და არა აქვს წინასწარგანზრახული ხასიათი.

რუსული შოვინიზმი პრიორიტეტს ანიჭებდა სომხებს ქართველებთან შედარებით და აკისრებდა მათ მისიას საქართველოს თანდათანობითი კოლონიზაციისას (ვინაიდან თავისი მოსახლეობა არ ჰყოფნიდა ამ მიზნისათვის). ჯერ კიდევ პასკევიჩის დროიდან იწყება კოლონიზაცია მესხეთ-ჯავახეთისა სომხების მიერ, რომელმაც დღეს კულმინაციას მიაღწია. სომხების პრივილეგირებულობა იქიდანაც ჩანს, რომ მათ ფაქტობრივ დაიპყრეს ჩვენი შავი ზღვისპირეთი, განსაკუთრებით აფხაზეთი და აჭარა (რაშიც მათ არავინ უშლის ხელს), ხოლო ქართველი ეროვნების მოქალაქისთვის, როგორც ითქვა, აფხაზეთში ჩაწერა უდიდესი პრობლემაა.

**სომხებს კი არავინ უქმნის ხელოვნურად დემოგრაფიულ კრიზისებს თავის საკუთარ სამშობლოში, არავინ აძევებს მშობლიური მიწიდან, არავინ უქმნის ხელოვნურად პირობებს რუსეთში მასობრივი მიგრაციისთვის, არავინ ართმევს რელიგიას და ეკლესიას, ენას, კულტურას, არავინ უყალბებს და უგინებს ისტორიას, არავინ აცხადებს სომხეთს საქართველოდ, აზერბაიჯანად ან სხვა რომელიმე ერის სამკვიდრებელ ტერიტორიად.**

ყველაფერი ეს იმიტომ ხდება, რომ რუსეთის კავკასიური პოლიტიკა არასოდეს ხედავდა სომხებში საფრთხეს თავისი მიზნებისათვის, პირუკუ, ისინი მორჩილ და სანდო ქვეშევრდომებად მიაჩნდათ ყოველთვის, აზერბაიჯანელების შემდეგ (რაც შეეხება აზერბაიჯანელებს, ვოსტორგოვი ხმამაღლა გამოთქვამდა აღტაცებას ამ ტომით და კავკასიაში ისინი რუსეთისათვის ყველაზე სასურველ ხალხად მიაჩნდა, ვინაიდან, მისი თქმით, მათ არ ჰყავდათ ინტელიგენცია, არ ჰქონდათ მწერლობა და არც პრეტენზია დამოუკიდებელი არსებობისა).

ამას წინათ, როგორც ამბობენ, ვაზგენ I-მა ეჩმიაძინში შემდეგნაირი ლოზუნგით დაამთავრა თავისი ქადაგება: „სომხებო! დაიპყარით შავი ზღვისპირეთი!" ცხადია, იგი ამით ყირიმისა და ანატოლიის ნაპირებს როდი გულისხმობდა, თუმც ვაზგენი მხოლოდ ლოზუნგებით როდი უწყობს ხელს გამრავლებაში თავის თანამემამულეებს ჩვენი ზოგიერთი გაზეთის დარად, არამედ აფინანსებს სომეხ კოლონისტებს, რომელნიც საქართველოში სახლდებიან (ცხადია, ვაზგენს ოფიციალობა რომ არ ედგას მხარში, იგი ამდენს ვერც გაბედავდა და ვერც შესძლებდა). გეგმა შემდეგია: უახლოეს წლებში საქართველოში ქართული მოსახლეობა უმცირესობაში უნდა აღმოჩნდეს. ასე რომ, ჯავახეთის ექსპერიმენტით წახალისებული შოვინისტები დღეს უკვე მთელ საქართველოს უმიზნებენ.

ცხადია, დაშნაკთა ეს მიმდევრები ვერ ხედავენ, თუ რარიგ უთხრიან ძირს ამგვარი გამოხდომებით ქართველ-სომეხთა ისტორიულ ძმობას, ან ვის წისქვილზე ასხამენ წყალს.

ახლა ყოველივე ამას დაემატა აპარტეიდის სისტემის დამკვიდრება შიდა ქართლში, ისტორიულ სამაჩაბლოში, საფალავანდოში და ქსნის საერისთავოში, რომელიც „სამხრეთ ოსეთად" მონათლეს დამპყრობელმა ბოლშევიკებმა. ცხინვალში ქართველებზე ნადირობაა გამოცხადებული, ქართველები ვერ სარგებლობენ მაღაზიებით, სამედიცინო მომსახურებით, რესტორნებით, ტრანსპორტით, გზით, მათ ეკრძალებათ სამსახურებში სიარული, საღამოობით ქუჩაში გამოსვლაც კი. არის შემთხვევები მკვლელობისა, ცემისა, დაჭრისა, ვით უნდა გამრავლდეს აქ ქართული მოსახლეობა ასეთ პირობებში?

მაგალითად, ორი რესპუბლიკის - საქართველოს სსრ-სა და აზერბაიჯანის სსრ-ს არათანასწორუფლებიანობა საუკეთესოდ მოჩანს საინგილოსა და მარნეულის მაგალითზე. საინგილოში ყოველივე ქართული კანონგარეშეა გამოცხადებული, ქართველების ეროვნული დისკრიმინაცია და შევიწროება შუასაუკუნეობრივი და მონათმფლობელური ეპოქებისთვის დამახასიათებელ ფორმებს ღებულობს, რა გამრავლებაზე შეიძლება საუბარი, როდესაც მიმდინარეობს ქართველთა ფარული გენოციდი და ასიმილაცია, ოფიციალურად სანქციონირებული. მარნეულის რაიონში კი ყვავის და მრავლდება აზერბაიჯანული მოსახლეობა, ძლიერდება მისი ექსპანსია იმდენად, რომ მას უკვე გაუჩნდა ავტონომისტური ამბიციები. აი, რა მოგვიტანა საქართველოს გადაქცევამ ინტერნაციონალიზმის „თავისებურ ლაბორატორიად", რითაც ეგზოდ ამაყობდა ე.შევარდნაძე 1985 წლის 4 ივლისის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში.

ერის გამრავლების პრობლემასთან მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული დამნაშავეობის ზრდა, განსაკუთრებით მკვლელობისა, რაც ჩვენი საზოგადოების სამართლიან შეშფოთებას იწვევს. ეროვნული მოძრაობის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით გამოხატულია ქართველი ხალხისადმი შემდეგ მიმართვაში, რომელიც 1990 წლის თებერვალში გავრცელდა საქართველოში:

„უკანასკნელ ხანებში ჩვენში თავი იჩინა კიდევ ერთმა საგანგაშო სენმა, რომლის დასაძლევად და აღმოსაფხვრელად უნდა დაირაზმოს მთელი ჩვენი შეგნებული საზოგადოებრიობა, ჩვენი ერი. მახინჯმა სოციალურმა წყობამ, ახალგაზრდობის არასწორმა აღზრდამ, მისთვის ნამდვილი სულიერი და ეროვნული იდეალების ნაცვლად ყალბი იდეალების თავს მოხვევამ, რელიგიასთან ბრძოლამ და მისმა დისკრედიტაციამ ათეისტური სახელმწიფოს მიერ, მასებში მერკანტილური ფსიქოლოგიის გაბატონებამ დასცა ზნეობა, გახრწნა საზოგადოება, რაც განსაკუთრებით დაეტყო ახალგაზრდობის სულიერ მდგომარეობას.

**საქართველოში და, კერძოდ, თბილისში კატასროფულად გახშირდა მკვლელობები, სხეულის მძიმე დაზიანებები ხშირად სავსებით უმიზეზო წალაპარაკებისა თუ კონფლიქტის ნიადაგზე, ზოგჯერ კი ანგარების მიზნითაც. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ასეთ ადამიანებს მხოლოდ უბრალო მკვლელებს და კრიმინალებს ვერ დავარქმევთ.**

რამდენადაც დღეს საქართველო უმძიმესი სოციალურ-პოლიტიკური და დემოგრაფიული კრიზისის წინაშე დგას და ფაქტობრივად ომის მდგომარეობაშია, რამდენადაც ამგვარი მკვლელობები ლახვარია ჩვენი ერისთვის და ჩვენი უბოროტესი მტრების შავბნელი ზრახვების განხორციელებას უწყობს ხელს, ამგვარი ქმედება დღეს უნდა განისაზღვროს როგორც ერის შეგნებული მტრობა, ერისა და ეროვნული მოძრაობის ღალატი.

მათ წინააღმდეგ უნდა დაირაზმოს მთელი ერი, რამეთუ გარეშე მტრის დამარცხებაზე არანაკლებ ძნელია შინაური მტრის დამარცხება".

ამრიგად, მხოლოდ ქმნა მართლისა სამართლისა როდი შეიქმს ხმელსა ხეს ნედლად, არამედ აგრეთვე თქმა მართლისა სიმართლისა. სიმართლის მიჩქმალვამ და წაყრუებამ ავნო ყველაზე მეტად ჩვენი ეროვნული პრობლემების მოგვარებას და ყველა ჩვენგანმა შეიტანოს ამჯერად თავისი წვლილი ამ სიმართლის გაცნობიერებაში და პოპულარიზებაში, რაც აუცილებელი პირობაა ქართველი ერის გადარჩენისა, ვიდრე საქართველო მიაღწევდეს სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

**1985-1990**

**„ლიტერატურული საქართველო"**

**8 ივნისი, 1990 წელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენს უკან მთები და უფალია

უკვე ექვსი თვეა სასტიკი ომი მიმდინარეობს ჩეჩნეთში. ეს ერთი მუჭა ხალხი არნახული სიმტკიცითა და შეუპოვრობით ებრძვის მრავალრიცხოვან, უბოროტეს მტერს. დანგრეული და განადგურებულია ჩეჩნეთის ქალაქები და სოფლები. სისხლიანი რუსული ჩექმა არაფერს ტოვებს მოუსრავს და შეუბილწავს თავის კვალზე. მშვიდობიან მოსახლეობაში არის უდიდესი მსხვერპლი.

საუკუნის ბოლოს ისევ ერეკებიან ჩეჩნებს მშობლიური მიწიდან. რუსეთის მთავრობის მიერ "კონსტიტუციური წესრიგის" აღდგენის საბაბით წამოწყებული სადამსჯელო ოპერაცია თავისი არსით არ განსხვავდება 1944 წლის დეპორტაციისგან. მხოლოდ ამჯერად "დემოკრატიის" დროშით მიმდინარე აქციას გაცილებით უფრო მძიმე, ვანდალური ხასიათი აქვს, ვიდრე მაშინ, რამდენიმე ათეული წლის წინათ. საცხოვრისიდან აყრილი ჩეჩნები ახლა მშობლიური მთებისკენ მიეშურებიან, რათა იქიდან გაგრძელდეს ომი მოძალადეთან.

ეს გაუტეხელი ხალხი, თითქოს მარტო შერკინებია სამყაროში აზვირთებულ ბოროტებას. ისინი მხოლოდ საკუთარი თავის იმედად იბრძვიან და გულხელდაკრეფილნი არ ელოდებიან "ცვლილებებს გლობალურ პოლიტიკაში." "ჩვენს უკან მთები და უფალია!" - ასე მიმართა თავის ხალხს ჯოჰარ დუდაევმა. ახლა ეს მთები აღმართულან შეუვალ ზღუდედ მტრის წინაშე. იქ შეფარებულა დევნილი, მაგრამ გაუტეხელი და თავისუფლებისმოყვარე კავკასიური სული.

***

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, როგორც მოსალოდნელი იყო, სამარცხვინო როლს ასრულებს ამ კონფლიქტში. ე.შევარდნაძემ ომის დაწყების პირველ დღეებშივე გამოხატა თავისი პოზიცია და მხარი დაუჭირა კაცთაკვლას და სისასტიკეს ჩვენს მეზობელ ქვეყანაში. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მარიონეტთა თავგამოდებული მცდელობისა, საქართველოში მაინც ვერ მოხერხდა ანტიჩეჩნური ისტერიის გაღვივება. ქართველი კაცი გუმანითა გრძნობს, რომ იქ, კავკასიის ქედს მიღმა მიმდინარე ომში მარტო ჩეჩენთა ბედი არ წყდება. ისევე, როგორც საქართველოში არ წყდებოდა მხოლოდ ქართველთა მომავალი. საქართველოში უთანაგრძნობენ ვაინახებს.

ამგვარი განწყობილებები ხალხში, რომლისთვისაც უპირველეს მტრად უნდა ქცეულიყო ჩეჩენი და საზოგადოდ, კავკასიელი, რა თქმა უნდა, ხელს არ აძლევს შევარდნაძის ხელისუფლებას. ამიტომ, ბოლო დროს ჩვენი საინფორმაციო საშუალებები წამდაუწუმ იმეორებენ: "აფხაზეთის ტერიტორიაზე ქლუხორიდან გადმოვიდა 80 შეიარაღებული ჩეჩენი ბოევიკი", "აფხაზეთში წვრთნას გადიან ჩეჩნეთში გასაგზავნი რაზმები", "გალის რაიონში დათარეშობენ ჩეჩნები". აბსურდული განცხადებები, რომლებიც ჩეჩნეთიდან აფხაზეთში ბოევიკთა გადასვლას შეეხება, არა გვგონია, მხოლოდ ელემენტარული გეოგრაფიის უცოდინრობით იყოს გამოწვეული (ჩეჩნეთსა და აფხაზეთს ასეულობით კილომეტრი აშორებს). საქმე ის გახლავთ, რომ რუსთა ქვეშევრდომი ხელისუფლება კვლავ ცდილობს ქართველთა და ჩეჩენთა დაპირისპირებას. ნამდვილი მტრის, დამპყრობლის შესანიღბავად. ცდილობენ მოყვარეს დააბრალონ მტრობა და თავისი მოძმის წინააღმდეგ აამხედრონ ქართველი კაცი. შევარდნაძის რეჟიმი ახალ სირცხვილს უმზადებს საქართველოს, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჩამოურეცხია XIX საუკუნეში შამილის წინააღმდეგ მებრძოლი ზოგიერთი ჩვენი გარუსებულ-გადაგვარებული თანამემამულის მიერ დაჩნეული სირცხვილის ლაქა. დღეს, ჩვენს თვალწინ მეორდება ისტორია. მაშინ რუსეთი სწორედ საქართველოს ხელით ასამარებდა კავკასიის თავისუფლებას. დღესაც საქართველოს ამზადებენ ამ დამღუპველი თვითმკვლელობისთვის.

რუსეთი თანმიმდევრულად მოქმედებდა თავისი მიზნის განსახორციელებლად. პირველი ნაბიჯი ამ გზაზე საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობა და მის ნაცვლად რუსეთის მარიონეტის ძალაუფლების განმტკიცება იყო. სისხლის გუბეები დადგა საქართველოში. სასტიკად გაუსწორდნენ ჩვენს ეროვნულ მოძრაობას.

დღეს კი, წელში გატეხილი, დათრგუნული ქართველი ხალხი დარცხვენილი შეჰყურებს ჩეჩნეთს, როგორც ერთადერთ იმედს, თავისუფლების ერთადერთ კუნძულს, სადაც ჩვენი მოძმეები ჩვენს მოსაქნევ ხმალსაც იქნევენ, ჩვენს გამოსადენ სისხლსაც ისინი ღვრიან. ნამდვილი საქართველო დღეს, საკუთარი უილაჯობით გამწარებული, მხოლოდ სუსტად გამოხატავს მხარდაჭერას ჩეჩენი ხალხისადმი. ჭეშმარიტ ქართველს მათი ტკივილი საკუთარ ტკივილად გადაჰქცევია და მათი გამარჯვების იმედით სულდგმულობს. ჩეჩნებისადმი მხარდაჭერაში კიაფობს დღეს ჩაწიხლული ქართული სული. ეს იცის რუსეთმა, ეს იცის შევარდნაძემ და ახლა, ამ მბჟუტავი სანთლის ჩაქრობა განუზრახავთ. სამწუხაროდ, ჩვენში ბევრია გამყიდველი, მოღალატე, მანქურთი და გონებადაბნელებული. ასეთებზეა გათვლილი შევარდნაძის პროპაგანდა, თორემ, აბა, რომელი ჭკუათამყოფელი დაიჯერებს, რომ ჩეჩნეთიდან აფხაზეთში უღელტეხილის გავლით გადადიან და გადმოდიან ჩეჩენი ბოევიკები. ან იქნებ სახელმწიფოს მეთაურს ჰგონია, რაც ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება საქართველოს, სულ ჩეჩნეთია?

რამდენიმე ხნის წინ საქართველოში რუსეთის სასაზღვრო ჯარების უფროსი. ნიკოლაევი ჩამოვიდა საიდუმლოდ არ დარჩენილა. რომ მისი ვიზიტი ჩეჩნეთში მიმდინარე ომის საქართველოს, კერძოდ, ხევსურეთის საზღვრებთან მოახლოების გამო შედგა. როგორც ახლახან შევიტყვეთ, შატილში გაძლიერებული რაზმი ჩაუყენებიათ. ქართველი მესაზღვრეები თავის რუს კოლეგებთან ერთად "მკერდით ჰკრავენ" საქართველოს შემოსასვლელებს. იარაღი ურიგდება მოსახლეობასაც. დათარეშობენ რუსის სამხედროები ჩვენს მიწა-წყალზე, აქაურობის ბატონ-პატრონად გრძნობენ თავს. რა ხდება, ვის ელიან საქართველოს ხელისუფალნი ჩრდილოეთიდან? ვის უმზადებენ იარაღს ქართველი ბიჭები სასროლად? იქნებ მართლა შემოგვესია ვინმე? არა. რუსეთის სამხედრო მანქანა ნელ-ნელა ავიწროებს ჩეჩენ პატრიოტთა რაზმებს და სრულიად შეგნებულად მათ საქართველოს საზღვრებისკენ უბიძგებს. გასასვლელი არსაით არის დატოვებული. ერთადერთი გზა საქართველოსკენ რჩება.

... და ამ გზას იმედიანად შეჰყურებს ჩეჩენი, რადგან იცის: ეს გზა მოძმისკენ, მოკეთისკენ, თავის სისხლის და ხორცისკენ მიმავალი გზაა. ამ გზას ენდობა ჩეჩენი და გზის ბოლოში მაცხოვრებელთა უღალატობა სწამს. გზის ბოლოს კი სიკვდილი ჩასაფრებია მებრძოლს. ღალატიანი, ზურგიდან მომკვლელი სიკვდილი. არა გადამთიელის, არამედ ქართველის ხელით. დღესაც ბრალდებად ისმის საუკუნეზე მეტი ხნის წინ ნათქვამი მოხუცი ჩეჩენის სიტყვები: "მე მქონდა სახლი და ის თავშესაფარი იყო ყველა შეწუხებულისა, ყველა გაჭირვებულისა... მივიდნენ გიაურები და დაწვეს... ყველა ეს ქართველებისგან მოხდა. ისინი მოუძღოდნენ ბელადად გიაურებს, ისინი უჩვენებდნენ გზას, ისინი გვეომებოდნენ" (ალ. ყაზბეგი "ელისო"). დღეს ჩვენს მტერს სურს ისევ ამგვარი თავლაფდასხმისთვის გაგვწიროს, ჩვენივე ხელით დაამხოს საქართველოს და მთლიანად კავკასიის თავისუფლება, სამუდამო მტრად გადაგვიქციოს მეგობარი და მეზობელი.

... მაგრამ გვჯერა, - საქართველო უფრო დიდია, ვიდრე შევარდნაძეებს ჰგონიათ. ქართველ კაცს კი ლაჩრად და გამცემად ვერ აქცევენ, რადგან საქართველომ ომების ქარცეცხლში, ათას ჭირსა და უბედურებაში გამოატარა დიდი წინაპრის ოცნება - "მტერზედ რისხვით აღმომქშინავი", ერთი აზრით, ერთი მიზნით მუშტად შეკრული კავკასიის ხილვისა და ჩვენ არ უნდა ვიქცეთ ამ ოცნების მესაფლავეებად.

უტყვი მზერით, პირქუში სახეებით ტოვებენ ჩეჩნები მშობლიურ სახლ-კარს და მთებისკენ მიემართებიან. მათში ახალი ძალით იღვიძებს წინაპართა მებრძოლი სული. ბოროტების მსახური "პატარა კაცუნები", საბრალო "გლახ მოკვდავნი" მათ ტერორისტებს, ბანდიტებს, ყაჩაღებს უწოდებენ და ვერ გაუგიათ, რა აძლევს ძალას ამ ადამიანებს, ასე თამამად, უდრეკად ჩახედონ სიკვდილს თვალებში, რისთვის წირავენ სიცოცხლეს ასე დაუნანებლად და რატომ არ შეიძლება მათი დამარცხება.

გროზნოს ცენტრალურ მოედანზე თავისუფლების მონუმენტია აღმართული - მიწიდან ამოწვდილა ჩეჩენი მეომრის ხმალჩაბღუჯული ხელი. საფლავშიაც მბორგავი თავისუფლების სული სიმტკიცისკენ, თავდადებისკენ მოუწოდებს მთელს კავკასიას. ეს მძლავრი ხელი სამარის კარამდე მიჰყვება მტერს.

**ნუგზარ წიკლაური**

## ქრონიკა

### ჩეჩნეთი

მთის სოფლის - ვედენოს აღების შემდეგ რუსეთის მხარემ განახორციელა დარტყმა შატოის მიმართულებით. შატოის გარშემო მთებში და სოფლებში დარჩენილმა ათასობით მშვიდობიანმა მოსახლემ ვერ მოახერხა გამოსვლა საომარი მოქმედებების დაწყებამდე. გადარჩენილი ლტოლვილის თქმით, გზები მოფენილია ლაზოცილი ძროხებით, ცხენებით და დამწვარი მანქანების ნაწილებით. მშვიდობიანი მოსახლეობა მოჰყვა დაბომბვებსა და სნაიპერების სროლებში. ვინც ძირითადი გზით მოინდომა გამოსვლა, ყველა დაიღუპა. სოფლის მოსახლეობის თხოვნას, ჰუმანიტარული კორიდორის გახსნაზე შატოის შემოგარენში, რუსეთის სამხედრო ძალებმა უარით უპასუხეს.

ფედერალურმა ძალებმა დაიკავეს ჩეჩნური სოფლები: შატოი და ნაჰაი-იურტი, რომლებიც ჩეჩენი მებრძოლების მთავარ საყრდენს წარმოადგენდა.

ორივე დასახლებული პუნქტი მიწასთანაა გასწორებული. შატოის და ნაჰაი-იურტს რუსები ინტენსიურად ბომბავდნენ დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში არტილერიის, ავიაციისა და რეაქტიული დანადგარების გამოყენებით.

14 ივნისს, დღის 12 საათზე სტავროპოლის მხარის ქალაქ ბუდიონოვსკში "კამაზის" მარკის ორი სატვირთო ავტომანქანით შევიდა ჩეჩენ მეომართა 70 - 80 კაციანი რაზმი. ავტომანქანები დატვირთული იყო კუბოებით. ამან განაპირობა ქალაქში ტერორისტების უპრობლემოდ შესვლა. კუბოების ერთი ნაწილი სავსე იყო ტყვია - წამლით, ხოლო მეორე ნაწილში მეომრები იმყოფებოდნენ. ქალაქში ტერორისტები სამ ნაწილად გაიყვნენ და ერთდროულად დაესხნენ თავს ქალაქის ადმინისტრაციას, მილიციას და ბაზარს. ისინი გამაგრდნენ ქალაქის მთავარ საავადმყოფოში და ყველა, ვინც იქ იმყოფებოდა, 1000-დე ადამიანი, მძევლად აიყვანეს. მძევალთა შორის ბავშვებიც არიან. უსაფრთხოების მიზნით ისინი სარდაფში იმყოფებიან. ტერორისტები მოითხოვენ: ჩეჩნეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანას და პრეზიდენტ ელცინის მიერ ჯოჰარ დუდაევთან მოლაპარაკებების დაწყებას.

სტავროპოლის მხარეში კონცენტრირებულია რუსეთის ჯარის ნაწილები. იქ იმყოფება სამხედრო ქვედანაყოფი "ალფა". ქალაქს ორ წრედ გარს არტყია ჯარების კორდონი და თავს დასტრიალებს სამხედრო ვერტმფრენები.

რუსეთის სახელმწიფო დუმის თავმჯდომარემ, ივან რიბკინმა განაცხადა, რომ მას გააჩნია ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც 12,13 ივნისს მოსკოვიდან გაეგზავნათ დაშიფრული დეპეშები სამხარეო და საოლქო ადმინისტრაციებს, გუბერნატორებს, უშიშროების ადგილობრივ სამსახურებს და მილიციის განყოფილებებს. დეპეშებში ნათქვამი იყო, რომ მზადდებოდა ჩეჩენი ტერორისტების შეჭრა რუსეთის ტერიტორიაზე. რიბკინის განცხადებით, ხელისუფლებამ უგულებელყო გაფრთხილება, რისი შედეგიც ბუდიონოვსკში დატრიალებული ტრაგედიაა.

**რუსეთის ხელისუფლებამ საგანგებო ზომები მიიღო ფედერაციის ტერიტორიაზე განლაგებული ბირთვული ობიექტების დასაცავად.**

ბუდიონოვსკში ჩეჩენ მებრძოლთა შეჭრასთან დაკავშირებით, რუსეთის ხელისუფლებამ დააპატიმრა პრეზიდენტ დუდაევის წარმომადგენელი რუსეთში - ხამატ ყურბანოვი.

16 ივნისს, რუსეთის სახელმწიფო დუმის სხდომაზე ფრაქციათა ლიდერებმა მოითხოვეს ძალოვან სამინისტროთა ხელმძღვანელების გადაყენება ბუდიონოვსკის მოვლენებთან დაკავშირებით. ფრაქცია "იაბლოკოს"ლიდერმა გრიგორი იავლინსკიმ განაცხადა: პრეზიდენტი ელცინი ჰალიფაქსის ნაცვლად სასწრაფოდ უნდა გაემგზავროს ბუდიონოვსკში და თუ საჭირო გახდა, ათასობით ადამიანის გადასარჩენად, დუდაევთანაც უნდა დაიწყოს მოლაპარაკება.

ჰალიფაქსში გამგზავრების წინ რუსეთის პრეზიდენტმა პრესკონფერენცია გამართა მოსკოვის აეროპორტში. მან განაცხადა, რომ მისი კანადაში გამგზავრება აუცილებელია, მიუხედავად ბუდიონოვსკში განვითარებული მოვლენებისა. მას მუდმივი კავშირი აქვს შინაგან საქმეთა მინისტრ ერინთან. ბუდიონოვსკში ჩადიან სპეცდანიშნულების რაზმები. ჰალიფაქსში ის ისაუბრებს ბუდიონოვსკის შესახებ. მან თქვა, რომ მსოფლიო საზოგადოებამ საბოლოოდ დაინახა თუ ვის ებრძვიან რუსები ჩეჩნეთში. ელცინის აზრით, ტერორიზმთან ერთობლივი ბრძოლაა საჭირო.

რუსმა სამართალდამცავმა სერგეი კოვალიოვმა განაცხადა, რომ ტერორისტებმა გამოუსწორებელი დარტყმა მიაყენეს ჩეჩნეთის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების საქმეს. მისი აზრით, მძევალთა გადარჩენა ძნელია. ტერორისტებს თავი გადადებული აქვთ და ყველაფერზე წამსვლელები არიან.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ჯოჰარ დუდაევმა ინტერფაქსის კორესპონდენტთან სატელეფონო საუბარში თქვა, რომ შატოის და ნაჰაი - იურტის განადგურების მიუხედავად, ჩეჩენი ხალხის ბრძოლა რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ გაგრძელდება. მან უარყო ინფორმაცია მისი მძიმედ დაჭრის თაობაზე.

ბუდიონოვსკში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით დუდაევმა განაცხადა, რომ ეს არის ფართომასშტაბიანი პროვოკაცია რუსეთის ხელისუფლების მხრიდან.

რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ვლადიმერ შუმეიკომ პრესკონფერენციაზე განაცხადა: ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორიზმის განვითარება კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩეჩნეთში ომის დროულად დამთავრების აუცილებლობას.

# შეხვედრები ქუთაისსა და წყალტუბოში

ა.წ. 15-16 ივნისს ქუთაისსა და წყალტუბოში ადგილობრივ საზოგადოებასთან შესახვედრად იმყოფებოდა კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერი ორგანიზაციების - საქართველოს ჰელსინკის კავშირის, კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების, ნაციონალურ-კონსერვატიული პარტიის, ეროვნული ფრონტი - რადიკალური კავშირის, ნეოკონსერვატიული პარტიის და სოციალურ-ეროვნული კავშირის წარმომადგენელთა 25-კაციანი ჯგუფი, აგრეთვე უზენაესი საბჭოს წევრები წმ. ილია მართლის საზოგადოებიდან.

15 ივნისს ჰელსინკის კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის თაოსნობით კინოთეატრის დარბაზში შედგა დელეგაციის წევრთა შეხვედრა ქუთაისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მერიამ ყველაფერი იღონა შეხვედრაზე დასწრების მსურველთა ბლოკირებისთვის, დარბაზში ტევა არ იყო. ხალხით იყო სავსე კინოთეატრის ეზო და ფოიე.

შეხვედრას უძღვებოდა ჰელსინკის კავშირის პოლიტიკური საბჭოს წევრი - ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე გრიგოლ ძოწენიძე. ბატონებმა მ. მაჭავარიანმა, ე.ჯაველიძემ, ვ.ბოჭორიშვილმა, ბ.ჯავახიამ, ა.რცხილაძემ ნ.ჯალაღონიამ, რ.პეტრიაშვილმა, გ.მაქაცარიამ, ლ. ურუშაძემ, ი.კენჭოშვილმა, ზ.კვარაცხელიამ, ქალბატონმა ლ.ანდღულაძემ ისაუბრეს საქართველოსთვის საჭირბოროტო საკითხების, ქვეყანაში კანონიერი ხელისუფლებისა და სამართალმემკვიდრეობის, აფხაზეთის პრობლემის, არჩევნებისადმი დამოკიდებულების, პოლიტიკურ პარტიათა მდგომარეობის, აგრეთვე ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენების გარშემო.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს ღრმა კრიზისიდან გამოყვანის ერთადერთ გარანტს წარმოადგენს ქვეყანაში სამართალმემკვიდრეობის და, ამდენად - კანონიერი დევნილი ხელისუფლების აღდგენა, რომ ქართველმა ერმა ერთიანი ძალისხმევით უნდა ჩაშალოს შევარდნაძის კონსტიტუციის მიღება, კონსტიტუციისა, რომლის მიზანია საქართველოს სამხარეო მოწყობის დაკანონება და ამ გზით დაკანონება ქვეყნის დაშლისა. გამომსვლელებმა მიუთითეს, რომ დიდი ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული ფაქტობრივი რეჟიმის მიერ დანიშნული რეფერენდუმისა და საპრეზიდენტო არჩევნების ბოიკოტირებისკენ. ამ თვალსაზრისით საინტერესო იყო ზემოხსენებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების საკონსულტაციო სხდომა, რომელიც შედგა შეხვედრამდე. სხდომაზე გამოიკვეთა აზრი, რომ ბოიკოტირების იდეის ხორცშესხმისთვის აუცილებელია ეროვნულ-პოლიტიკური ძალების მიერ ცენტრალური საბოიკოტო კომიტეტის შექმნა, რომელმაც უაღრესად შრომატევადი მუშაობა უნდა ჩაატაროს რეგიონებში. მეტად მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით პერიოდული ოპოზიციური პრესის აქტიურობა.

შეხვედრაზე შეეხნენ ეროვნული სათათბიროს საკითხსაც. გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ სათათბირო ეს არის კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და ფაქტობრივი პარლამენტის ე.წ. "საპარლამენტო ოპოზიციაში" წარმოდგენილი ძალების სათათბირო ორგანო, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი პრინციპების დაცვის საკითხებზე დიალოგის წარმართვა. ამასთან ითქვა, რომ აბსოლუტურად გამორიცხულია კანონიერების აღდგენისთვის მებრძოლი ძალების პოზიციური ერთობა იმ ორგანიზაციებთან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის პუტჩში ან თანაუგრძნობდნენ მას.

შეკრებილთა მრავალრიცხოვან კითხვებს უპასუხეს მოწვეულმა სტუმრებმა. მეორე დღეს, 16 ივნისს, წყალტუბოს კინოთეატრში "ივერია" შედგა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასა და აფხაზეთიდან დევნილთა წარმომადგენლებთან.

შეხვედრაზე გამოიკვეთა ის დამღუპველი პოლიტიკა, რომელსაც აფხაზეთის პრობლემებთან და რეგიონიდან დევნილთა მდგომარეობასთან დაკავშირებით გეგმაზომიერად ატარებს შევარდნაძის რეჟიმი. კერძოდ, შეხვედრაზე დამსწრე ლტოლვილთა გარკვეული ნაწილი წინასწარ იყო დამუშავებული ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. გაირკვა ისიც, რომ ამ შეხვედრამდე მცირე ხნით ადრე მათ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჰუმანიტარული დახმარება დაურიგა. სტუმრების სავსებით სამართლიან განცხადებას, რომ სანამ შევარდნაძის ხელისუფლება მართავს საქართველოს, დევნილ მოსახლეობას არ უწერია აფხაზეთში დაბრუნება. ლტოლვილთა ერთმა ნაწილმა სიტყვიერი შეურაცხყოფა და, გარკვეულწილად, პროვოკაციული გამოსვლები დაუპირისპირა, რამაც როგორც ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელთა, ისე აფხაზეთიდან დევნილთა მნიშვნელოვანი ნაწილის გულისწყრომა გამოიწვია. მაგრამ ეს ინციდენტი მალე მოგვარდა და საქმიანი დიალოგიც შედგა.

აფხაზეთიდან დევნილთა ერთ ნაწილს თავდაპირველად ისიც კი ეგონა, რომ დელეგაცია შევარდნაძის პარლამენტის უმრავლესობას წარმოადგენდა. თუმცა ლტოლვილთა შორის აღმოჩნდნენ პიროვნებები, რომლებიც რეალისტურად აფასებენ შექმნილ უმძიმეს მდგომარეობას. მაგ. ქალბატონმა ლიზა შონია - აფხაძემ აღნიშნა: "ჩვენ მაშინ დავიღუპეთ, როდესაც ედუარდ შევარდნაძე ტაშით მივიღეთ", ხოლო ძაძებში ჩაცმულმა ქალბატონმა ლილი კურტანიძემ განაცხადა: "დღემდე მე ჩემს მოკლულ შვილსა და მეუღლეს ვგლოვობდი, დღეიდან შავებს მკვდრებისთვის კი არა, ცოცხლებისთვის ვატარებ".

აფხაზეთიდან დევნილთა მიერ დასმულ კითხვას, თუ ვინ გადაარჩენს საქართველოს, დელეგაციის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ქვეყანას გადაარჩენს ქართველი ერის ერთიანი ძალისხმევა და თავდადებული ბრძოლა ქვეყნის ხსნისთვის.

შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ წყალტუბოში მყოფ ლტოლვილთა შორის მძვინვარებს ტუბერკულოზის ეპიდემია.

**საქართველოს ჰელსინკის კავშირის პრეს-სამსახური**

# «მიმაჩნია, რომ მოსამართლე მართულია ზემოდან«

## - აცხადებს ბარძიმაშვილი

8 ივნისს გაგრძელდა "ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმის" ორი მონაწილის-ზურაბ ბარძიმაშვილისა და ომარ კოჭლამაზაშვილის სასამართლო სხდომები. ყველასათვის მოულოდნელად, სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ ლერი საყვარელიძემ სხდომის გახსნილად გამოცხადების გარეშე დაიწყო არსებული საქმის საბრალდებო დასკვნის კითხვა, რითაც, ფაქტობრივად, დასრულებულად ჩათვალა მოსამზადებელი ეტაპი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე გადავიდა. ამას შედეგად ბარძიმაშვილის აფექტური მდგომარეობა და ხმამაღალი გამოსვლები მოჰყვა. მოსამართლემ წყობიდან გამოსული განსასჯელი რამდენჯერმე ამაოდ გააფრთხილა და მისი გაძევების განჩინების გამოსატანად დატოვა დარბაზი.

ბადრაგის მიერ საკანში ჩაყვანილმა ბარძიმაშვილმა გულის არეში ძლიერი ტკივილების გამო გონება დაკარგა, დაეწყო ძლიერი კრუნჩხვები. დარბაზში მყოფმა ექიმმა, ბადრაგმა და " სასწრაფო დახმარების " ორმა ბრიგადამ ძლივს გამოიყვანა ავადმყოფი მდგომარეობიდან. ბარძიმაშვილი გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში.

სხდომა განაზლდა სხდომათა დარბაზიდან განსასჯელის გაძევების განჩინების გამოქვეყნებით. ადვოკატმა ბექაურმა სცადა საპროტესტო განცხადების გაკეთება, მაგრამ კოლეგიის თავმჯდომარემ არ მისცა ამის საშუალება.

9 ივნისის სხდომაზე ბარძიმაშვილის ადვოკატის 3 შუამდგომლობა განიხილეს: - პირველი ეხებოდა ბარძიმაშვილის გაძევების შესახებ 8 ივნისის უკანონო განჩინების გამოტანას. ადვოკატის განცხადებით, სასამართლომ დაარღვია სსსკ 279-ე მუხლის მოთხოვნა - პროცესის ყველა მონაწილესთან შეთანხმების გარეშე დაიწყო საბრალდებო დასკვნის კითხვა;

- მეორე შუამდგომლობაში დამცველმა დაასაბუთა, რომ "ბარძიმაშვილის უტაქტო მიმართვა სასამართლოსადმი შეგნებული და წინასწარგანზრახული არ იყო და ის გამოიწვია სასამართლო კოლეგიის უკანონო მოქმედებამ". ამდენად, ბექაურმა მოითხოვა უკანონო განჩინების გაუქმება და განსასჯელის პროცესზე დაბრუნება;

15 ივნისის სხდომაზე მოწმის სახით დასაკითხად მოყვანილი ჰყავდათ "გამსახურდიას საქმის" მონაწილე მსჯავრდებულები: ზაზა და თამაზ წიკლაურები, გივი კალმახელიძე, თეიმურაზ კაპანაძე, ზურაბ გოგიჩაშვილი, გოჩა მახვილაძე. მოწმეთა სიმრავლემ აშკარად დააბნია პროკურორი ნ.ბეჟიტაშვილი - მან დიდხანს ვერ გაარკვია, რომელი მსჯავრდებული რომელი განსასჯელის მოწმედ გამოდგებოდა და რომელ ეპიზოდში.

როგორც იქნა, გადაწყდა მოწმის სახით ზ.წიკლაურის დაკითხვა კოჭლამაზაშვილის ეპიზოდის გარშემო. მსჯავრდებულმა უარი განაცხადა მოწმის სახით ჩვენების მიცემაზე:" თუ განსასჯელის ინტერესებში შედის ჩემი დაკითხვა, მხოლოდ მას და მის დამცველს გავცემ პასუხს". როგორც აღმოჩნდა, ზ.წიკლაურმა განსასჯელი მხოლოდ სასამართლო პროცესზე გაიცნო: " 1992 წლის გაზაფხულზე გროზნოში ვიყავი ჩემს პირად საქმესთან დაკავშირებით, უკან დაბრუნება ვერტმფრენით მოიხდა, სხვა ტრანსპორტი არ იყო...7 აგვისტოს დამაპატიმრეს და, სხვა ბრალდებებთან ერთად, წამიყენეს იარაღის უკანონოდ გადმოზიდვის ბრალდებაც. მე ჩემი ბარგის გარდა არაფერი მქონია, არაფერი ვიცი ვერტმფრენში არსებული ტვირთის რაობის შესახებ. გამოძიების საწყის სტადიაზე ჩემთვის არც ბრალი წაუყენებიათ, არც დაპატიმრების სანქცია წარუდგენიათ. მიდიოდა მხოლოდ სერიოზული ფიზიკური და ფსიქოლოგიური დამუშავება. ბოლოს რაღაცაზე ხელი მომაწერინეს - ეს "ჩვენება" საქმიდან გაქრა. კოჭლამაზაშვილის შესახებ ჩემთვის ძიების პროცესშიც არაფერი უთქვამთ".

შემდეგ დაიკითხა მსჯავრდებული გოჩა მახვილაძე:" ეს ჩემი რიგით მეორე სასამართლოა. მე მოვედი აქ როგორც პროცესის მონაწილე და არა როგორც მოწმე. კოჭლამაზაშვილს საქმე ჰქონდა კალმახელიძესთან, მახვილაძესთან - ისინი უკვე გასამართლებულები არიან, ე.ი.კოჭლამაზაშვილი თქვენ უკვე გასამართლებული გყავთ".

დანარჩენი მსჯავრდებულების დაკითხვამდე ადვოკატმა ბექაურმა სასამართლოს ბარძიმაშვილის რამდენიმე შუამდგომლობა წარუდგინა. პროკურორის ტრადიციული ფრაზის შემდეგ - "სასამართლომ არ უნდა დაუშვას პროცესის უკანონო გაჭიანურების მცდელობა" - მოსამართლე საყვარელიძემ უარი თქვა შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე.

ამ უარის შემდეგ ადვოკატმა ბექაურმა სასამართლოს გააცნო განსასჯელ ბარძიმაშვილის საჩივარი: "მოსამართლეს შეუძლია ჩემს მიმართ აღძრას ს/ს საქმე მისი შეურაცხყოფისთვის... ჩემის მხრივ, მე მოვითხოვ სსკ 186-187 მუხლების საფუძველზე აღიძრას ს/ს საქმე მოსამართლე ლერი საყვარელიძის მიმართ. მან, იცოდა რა ჩემი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის შესახებ, განზრახ გამომიყვანა წყობიდან და საფრთხე შეუქმნა ჩემს სიცოცხლეს. მიმაჩნია, რომ მოსამართლე მართულია ზემოდან და არის დაინტერესებული პირი, ის ვალდებულია დააყენოს თვითაცილება".

ბრალმდებელმა ბეჟიტაშვილმა აღნიშნულ შუამდგომლობაზე ფრიად მოტივირებული პასუხი გასცა: "ინციდენტი ბარძიმაშვილთან კანონში არ არის გათვალისწინებული. ასეთი ინციდენტები ხშირია ძიებაშიც და სასამართლოზეც. დღეს რომ ჩვენ მოსამართლის აცილება დავაკმაყოფილოთ, გამოდის, რომ ნებისმიერი განსასჯელი ნებისმიერ მოსამართლეს ნებისმიერ დროს აიცილებს... თუ მოსამართლე თვითაცილებას არ ამბობს, ე.ი. მან იცის, რომ ობიექტურად განიხილავს ამ საქმეს.

მსაჯულების მცირე ხნით თათბირის შემდეგ შუამდგომლობაზე უარი ითქვა.

ამის შემდეგ სასამართლომ გააგრძელა მსჯავრდებულთა დაკითხვა.

მსჯავრდებულებმა - თამაზ წიკლაურმა, ზურაბ გოგიჩაშვილმა, თეიმურაზ კაპანაძემ და გივი კალმახელიძემ ერთხმად უარყვეს წინასწარი ძიების დროს მიცემული ჩვენებები და აღნიშნეს, რომ ყველა ეს ჩვენება მიცემული ჰქონდათ ძლიერი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედების შედეგად:

- თამაზ წიკლაურმა მოსთხოვა სასამართლოს მისი ჩვენებების გრაფიკული ექსპერტიზის ჩატარება. როგორც მან განაცხადა, ჩვენებები მისი ხელით არ არის დაწერილი და არც ხელმოწერაა მისი.

- ზურაბ გოგიჩაშვილი დეტალურად შეეხო ძიების მიერ გამოყენებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის მეთოდებს. "მე მეომარი კაცი ვარ, ვიბრძოდი საქართველოს ინტერესებისთვის...ბარძიმაშვილთან არაფერი საერთო არ მქონია..."

-თეიმურაზ კაპანაძემ უარყო მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები და ბარძიმაშვილთან რაიმე დანაშაულში თანამონაწილეობა: "ბარძიმაშვილთან მხოლოდ კეთილმეზობლური დამოკიდებულება მქონდა...გროზნოში ჩემი სამსახურეობრივი მოვალეობის გამო ჩავედი - საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი პრეზიდენტისგან რჩევის მისაღებად...ჩემი დაკითხვები წამების ქვეშ მიმდინარეობდა - ფრჩხილები დღემდე არ ამომდის ფეხებზე..."

# ზარანდიამ შიმშილობა გამოაცხადა

1994 წლის 30 ოქტომბერს ქ.ზუგდიდში დააკავეს ეროვნული გვარდიის ვიცე-პოლკოვნიკი, ქ.ზუგდიდის კომენდანტი, 28 წლის ბადრი ზარანდია.

აყვანის დროს დაჭრილი ზარანდია მიიყვანეს ზუგდიდის საავადმყოფოში, სადაც მას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა. 31 ოქტომბერს, ზუგდიდის პოლიციის უფროსის ნუგზარ სვირავას მითითებით, დააპატიმრეს ბადრი ზარანდიას დები და 5 საათის განმავლობაში ქალაქის პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში ჰყავდათ ჩამწყვდეული. საავადმყოფოში ამბის გასაგებად მისული სიძე სცემეს, ხოლო მამას - მეგონა ზარანდიას ავტომატის ჯერით შეხვდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფს მეორე ოპერაცია დასჭირდა, რომლის დროსაც მოხდა მარჯვენა ფეხის მთლიანი ამპუტაცია. ნარკოზიდან გამოჰყავდათ ავტომატის თავში და სახის არეში ჩარტყმით... ოპერაციის შედეგის გასაგებად მოსულ ზარანდიას დებს საავადმყოფოს ეზოში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ნუგზარ სვირავამ და მისმა თანამშრომლებმა. ჯერ კიდევ ნარკოზის ქვეშ მყოფ ავადმყოფს ცემა-ტყეპით აიძულებდნენ მიეცა ჩვენება. თბილისში გადმოყვანისთანავე, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ბადრი ზარანდია მოათავსეს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც საავადმყოფოს მედპერსონალის ყურადღებამ რამდენჯერმე იხსნა ის სიკვდილისგან.

ა.წ. 6 ივნისს პატიმარმა განცხადებით მიმართა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ალ. კავსაძეს და რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს ჯ. ბაბილაშვილს - ზარანდიამ პროტესტი განაცხადა მისი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით და აცილება მისცა ადვოკატ ოთარ ბერიშვილს: "მე არ მჭირდება ადვოკატი, რომელიც არ იცავს ჩემს ინტერესებს და ასრულებს ფაქტობრივი ხელისუფლების მითითებებს. ბერიშვილის აცილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, უარს ვაცხადებ ჩვენების მიცემაზე, დაპირისპირებების ჩატარებასა და გამომძიებლებთან გასაუბრებაზეც კი".

ამის შემდგომ, 12 ივნისს კვლავ მძიმე მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფი სასწრაფოდ იქნა გადაყვანილი საგამომძიებლო იზოლატორში. იმავე დღეს ბადრი ზარანდიამ, არასასურველი დამცველის აცილებისა და ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში დაბრუნების მოთხოვნით, უვადო შიმშილობა გამოაცხადა. მისი მოთხოვნების უახლოეს დღეებში არდაკმაყოფილების შემთხვევაში, ზარანდია მშრალი შიმშილობის გამოცხადებას აპირებს, რაც მის ჯანმრთელობას რეალურ საფრთხეს შეუქმნის.

# პოლიტიკური ანგარიშსწორება გრძელდება

დასრულდა უზენაესი საბჭოს წევრის, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის, პოლიტპატიმარ ზაურ ქობალიას საქმის მრავალთვიანი "გამოძიება". ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ პოლიტპატიმარი წინასწარი გამოძიების მთელი პროცესის განმავლობაში უარს აცხადებდა ჩვენების მიცემაზე და საბოლოო ბრალის წარდგენის შემდგომაც არ მისცა ჩვენება. ამას მოჰყვა თვით საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ჯ.ბაბილაშვილის ვიზიტი ორთაჭალის ციხეში და შესაბამისი აქტის გაფორმება მისი თანდასწრებით. ზაურ ქობალია თავს დამნაშავედ არ ცნობს წაყენებულ უამრავ ბრალდებებში და ხელს არ აწერს ძიების მიერ შექმნილ დოკუმენტებს. როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში კიდევ ერთი პოლიტიკური პროცესი დაიწყება.

# გატაცების მსხვერპლნი სასამართლოზე არ გამოცხადებულან

ჯუმბერ (კახა) ქარდავას საქმის სასამართლო განხილვა 9 ივნისს განახლდა. დაახლოებით 2 კვირის მანძილზე სასამართლო კოლეგია ამაოდ ელოდა პროცესზე ჩვენების მისაცემად დაბარებულ გატაცებულებს: გვენცაძეს, ხაზალიას, სარალიძეს და სხვებს - როგორც ჩანს, მათ არ ჩათვალეს საჭიროდ სასამართლოში გამოცხადება. მოსამართლე ი.ბაბილაშვილი იძულებული გახდა გამოექვეყნებინა "დაზარალებულთა" მიერ წინასწარ ძიებაში მიცემული ჩვენებები. ყველა დატყვევებული ერთხმად აცხადებს, რომ საჭმელიც უხვად ჰქონდათ და მათთვის შეურაცხყოფა არავის მიუყენებია, მათ ყოველდღე დაატარებდნენ მდინარეზე, მცველები იარაღს ნაპირზე ტოვებდნენ და გატაცებულებთან ერთად ბანაობდნენ. ასეთი შემთხვევაც ყოფილა, როდესაც ეზოში გამოყვანილებმა ხილი მოისურვეს, მცველებმა ავტომატები ხეზე მიაყუდეს და მსხალი ჩამოუკრიფეს მათ...

სხდომაზე გამოაქვეყნეს სამედიცინო ცნობა, რომლის თანახმად, სავარაუდოა, რომ კ. ქარდავა მკლავში დაიჭრა ჭურვის აფეთქების შედეგად. განსასჯელისა და მისი დამცველის განცხადებით, ქარდავა აფხაზეთში იბრძოდა.

ადვოკატმა ვლადიმერ ქირიამ სასამართლო კოლეგიას მოსთხოვა რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ჯ.ბაბილაშვილის სახელზე 1995 წლის 9 იანვარს მის მიერ შედგენილი საჩივრის წაკითხვა. საჩივარში ვრცლადაა აღწერილი ის დარღვევები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ განსასჯელის დაპატიმრების მომენტიდან ძიების დასრულებამდე. ჩამოთვლილია გამომძიებელ ჭინჭარაულის მიერ საქმის ტენდენციურად გამოძიების მაგალითები. როგორც გაირკვა, სანქცია ქარდავას დაპატიმრებაზე ისე გასცა წალენჯიხის პროკურატურამ, რომ იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული არც კი ჰყავდათ - ის არამცთუ არ დაუკითხავს, არამედ თვალითაც არ უნახავს წალენჯიხის პროკურორს. განსასჯელის დაკავების საბუთები არ არსებობს - საქმეში დევს მხოლოდ და მხოლოდ მათი ასლი; დაკითხვების მთელრიგ ოქმებზე ქარდავას ხელი არა აქვს მოწერილი და ა.შ. საჩივარზე პასუხი ადვოკატს მიღებული არა აქვს.

საქმის მასალების გამოქვეყნების შემდეგ სიტყვა მიეცა ბრალმდებელ ვ.წერეთელს. მან დადასტურებულად მიიჩნია ქარდავას ბრალი და მოითხოვა მისთვის 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. ადვოკატმა სასამართლოს განუცხადა, რომ ქარდავას ბრალი არ დასტურდება, არ არსებობს პირდაპირი მოწმეები და მკიცებულებები მის წინააღმდეგ - მოითხოვა მისი გამართლება.

13 ივნისს სასამართლო კოლეგიამ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც კახა ქარდავა დამნაშავედ იქნა ცნობილი რამდენიმე პიროვნებისთვის გარკვეული დროის განმავლობაში თავისუფლების აღკვეთის გამო და მიუსაჯა მას 3 წლით პატიმრობა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

# არ ვითხოვ სასჯელის უმაღლეს ზომას

5 ივნისს განსასჯელმა გ. ოთხოზორიამ განაგრძო ჩვენების მიცემა: - "გამგზავნეს ფოთში წესრიგის დასამყარებლად. 8 დღე ვიყავი, არ მომხდარა არც ერთი ყაჩაღობა. მერვე დღეს გავედით სამტრედიაში, იქ დამხვდა ლოთი ქობალია - აქ არა ხარ საჭირო და გამაგზავნეს ზუგდიდში პრეზიდენტის დასაცავად. პრეზიდენტის გასვლამდე იქ ვიყავი... პრეზიდენტი რომ წავიდა, შეიარაღებული სამთავრობო ჯარი უკვე ხობში იდგა. იმავე დღეს ზუგდიდშიც შემოვიდნენ... ყოფილ ლენინის მოედანზე დგანან ჯაბა იოსელიანი, ე.შევარდნაძე და მათი ბანდიტები, მათ თვალწინ სახლებიდან გამოაქვთ ნივთები ტრაილერებით. ჯაბას მივარდა ხანში შესული ქალი - მიშველეთ, ჯაბამ უპასუხა: - მაგისთვის მცალია, წადი საქმე ნახეთ... ამ ქალბატონის ოჯახში 30 ლტოლვილი ცხოვრობდა. ამის შემდეგ გადაწვეს 28 ოჯახი მიყოლებით... "მხედრიონი მოდისო" და პოლიცია პიკეტიდან გარბოდა.

ჩემი დაპატიმრება თუ აუცილებელი იყო, დღეში რამდენჯერმე დავდიოდი ზუგდიდის პოლიციაში და ვერ დამაპატიმრებდნენ? კუკური ადამია ახლა უარყოფს ჩემს საუბარს მაგასთან. მე კი მივედი და ვუთხარი - 750 კაცი მზად მყავს აფხაზეთში საომრად და გიას გულუას გადაეცი-თქო. სამჯერ დავაბარე.

მკითხავთ - ცხენისწყალზე, მალთაყვაზე, სამტრედიაში რატომ წავედით? 1992 წელს რომ მოდიოდნენ "სიძეები", გგონიათ 1993 წელს უკეთესები მოვიდნენ? ჩვენ ხომ არ გვითქვამს, არ მოვიდეს პოლიცია, არ მოვიდეს სამთავრობო ჯარითქო... ისევ ისინი მოდიოდნენ - "ნაძალადეველი სიძეები", მათ ჩვენ არასოდეს არ შემოვუშვებდით. ვიცავდი ჩვენს ოჯახებს, ჩემს ღირსებასა და პატიოსნებას. მე მუდამ იქ დავდგები, სადაც ჩემი ერი დადგება.

6 ივნისს ოთხოზორია-შურღაიას სასამართლო პროცესის სხდომაზე გამოქვეყნდა წინასწარი გამოძიების მასალები. ადვოკატებმა წარმოადგინეს დამატებითი მტკიცებულებები, საგაზეთო წერილები, სადაც მოტანილია საქმესთან დაკავშირებული მასალები: პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ბრძანებულება ერთიანი ფრონტის შესახებ, დევნილთა გამოყვანასა და სოხუმის ბრძოლებთან დაკავშირებული ფაქტები, ვიდეომასალა პრეზიდენტის შეხვედრებისა ოჩამჩირის ფრონტის სარდლობასთან 27-30 სექტემბერს, სადაც იგი აცხადებს ერთიანი ფრონტის შექმნისა და აფხაზეთის დასაბრუნებლად ფართომასშტაბიანი ომის წამოწყების აუცილებლობას.

12 ივნისს სხდომა დაიწყო პროკურორ გ.ხაბაშვილის გამოსვლით. მან 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალება მოიხსენია როგორც "კონფლიქტი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, რომლის შედეგად დაემხო "გამსახურდიას ავტორიტარული რეჟიმი და რომ იგი გროზნოდან გეგმავდა შეთქმულებას, ქმნიდა შეიარაღებულ ბანდებს, გამოსცემდა უკანონო ბრძანებულებებს". ამან დარბაზის მწვავე რეაქცია და ხმაური გამოიწვია, რის გამოც თავმჯდომარემ ი.ტყეშელაშვილმა დახურა სასამართლოს სხდომა. იგი 13 ივნისს გაგრძელდა.

დილიდან უზენაესი სასამართლოს შენობა აივსო იარაღიანი და უიარაღო წესრიგის დამცველებით, მათ სხდომათა დარბაზის წინა რიგები დაიკავეს, რის შემდეგაც შეუშვეს მხოლოდ განსასჯელთა ახლო ნათესავები.

საბრალდებო სიტყვაში პროკურორი შეეხო სამხედრო გადატრიალების შემდგომ პეროდში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმიანობას, შეაფასა იგი როგორც უკანონო. მიმოიხილა 24 ივნისის ამბები და შემდგომ გადავიდა 1993 წლის სექტემბერ - ოქტომბრის მოვლენებზე.

"ექსპრეზიდენტის მომხრეები გადავიდნენ შეტევაზე, დაიკავეს სამეგრელო და გურიის ზოგიერთი რაიონი, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა - თანამდებობის პირთა დევნა, ნგრევა, საზოგადოებრივი და პირადი ქონების დატაცება... ჩაკეტეს სამტრედია-ფოთის მაგისტრალი, რითაც მანევრირების საშუალება მოუსპეს სამთავრობო ჯარებს, აპატიმრებდნენ მაღალი ჩინის პირებს". - თქვა სახელმწიფო ბრალმდებელმა. მან დაასახელა ამ პერიოდში მოკლულები: ცქიტიშვილი, ბოლქვაძე, ნარაშვილი, ჟვანია, ლომიძე და 5 რუსი სამხედრო პირი, მაგრამ რა კავშირი აქვთ კონკრეტულ განსასჯელებს ამ ფაქტებთან - ამის მტკიცებულება არ წამოუყენებია. შემდგომ იგი გადავიდა იარაღის ტარებასთან დაკავშირებული მუხლების მიხედვით მტკიცებულებათა განხილვაზე. ამ ნაწილში ბრალმდებლის გამოსვლა მეტ-ნაკლებად კონკრეტული იყო. საბოლოოდ მან თქვა: " მხედველობაში ვიღებ რა, რომ განსასჯელებს მოხსნილი აქვთ პასუხისმგებლობა 1992 წლის 3 აგვისტოს მანიფესტით - ამ ჰუმანური აქტით, ასევე მათ ოჯახურ მდგომარეობას და პიროვნულ ღირსებებს, არ ვითხოვ სასჯელის განსაკუთრებულ ზომას". მან მოითხოვა განსასჯელები ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით წაყენებული ყველა მუხლის მიხედვით: მოეხსნათ პასუხისმგებლობა 238-ე მუხლის შესაბამისად, 1995 წლის 2 ივნისის ამნისტიით; ხოლო მე-40-ე მუხლით - უდიდესმა სასჯელმა დაფაროს უმცირესი და საბოლოოდ განისაზღვროს: ვალტერ შურღაიას 15 წლით, ხოლო გოჩა ოთხოზორიას 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში სასჯელის მოხდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამ პროცესებს პოლიტიკური ანგარიშსწორებისთვის იყენებენ

## ადვოკატ ნავროზაშვილის სიტყვა

ჩემი დაცვის ქვეშ მყოფ განსასჯელ, გოჩა ოთხოზორიას ბრალად ედება საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე 78-ე 238-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული. როგორც ვიცით, იგულისხმება ჯაშუშობა, მტრის მხარეზე გადასვლა, შეთქმულება ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით, შეიარაღებული ბანდების შექმნა, თავდასხმები საგზაო მაგისტრალებზე და სხვა ობიექტებზე, იარაღის უკანონო ტარება-შენახვა და ა. შ.

- იმისთვის, რომ დამტკიცდეს ბრალი, საჭიროა არსებობდეს დანაშაულის შემადგენლობა - მისი ობიექტი და სუბიექტი. თუ ობიექტია საქართველოს სუვერენიტეტი, სახელმწიფოებრივი უშიშროება, სხვადასხვა საწარმო ობიექტები, უნდა არსებობდეს სუბიექტიც - დამნაშავეთა, ბანდა. საბრალდებო დასკვნაში სრულიად დაუსაბუთებლადაა მიჩნეული გ. ოთხოზორია სუბიექტად.

**გავიხსენოთ საბჭოთა სამართალშემოქმედების მამის - ვიშინსკის ცნობილი სიტყვები: აღიარება - მტკიცებულებათა დედოფალია, ე.ი. საჭადრაკო დაფაზე ყველაზე ძლიერ ფიგურასთანაა შედარებული აღიარება, ხოლო სხვა დამამტკიცებელი ფაქტების და მოწმეთა ჩვენების როლი გაიგივებულია, ალბათ, პაიკებთან, რომელთა ბედი საბჭოთა სამართალს არ აინტერესებდა. ისინი წამებით აღწევდნენ აღიარების გამოძალვას და ეს პრაქტიკა ახლაც გრძელდება.**

მაგრამ საქმე ისაა, რომ ოთხოზორიას აღიარებაც კი არაა საქმეში. არ არსებობს არც ერთი მოწმე, რომელიც მას ხელს ადებდეს ხსენებულ დანაშაულში, პირიქით. ტელეჟურნალისტი ოსეფაიშვილი გადმოსცემს როგორ იზეიმეს ერთად რუხში ჯარის გაერთიანება, ახასიათებს ოთხოზორიას, როგორც პატრიოტს. მოწმე გაბუნია ამბობს: მასში შემართული ვაჟკაცი იბრძოდა საქართველოს ერთიანობისთვის... აფხაზეთიდან თავის იარაღის მეტი, არაფერი წამოუღია... ფაცაცია ამბობდა - საცა ოთხოზორიაა, იქ წამიყვანეთ-ო. მოწმე თ. ქირია (ზუგდიდის პოლიციის უფროსი): იგი თავიდან ბოლომდე იბრძოდა აფხაზეთში.

მოწმეების - ბერიშვილის, სორდიას, ჟვანიას ჩვენებები ადასტურებენ იგივეს. საიდან მოიტანა გამოძიებამ, რომ ოთხოზორია სამშობლოს მოღალატეა? ეს მიზანდასახული ქმედებაა იმისთვის, რომ შეიქმნას მტრის სახე.

ახლა ლტოლვილებისთვის გზების ჩაკეტვის შესახებ: მოწმეების - რ. ბერიშვილის, ბ. დანგაძის, რ. ჩიქობავას ჩვენებებიდან ჩანს, რომ ჭვიბერიდან 100-მდე მანქანით ჩამოიყვანეს ლტოლვილები. გზები ჩაკეტილი არ იყო, გალის მთელი მოსახლეობა ზუგდიდში იყო. აი, რას ამბობს მოწმე დ. გულუა (აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი): "სულ ბოლოს გამოვედი სოხუმიდან სვანეთის გზით. რადგან გულრიფშში აფხაზებს ეკავათ...იყო გახსნილი მონაკვეთი რკინიგზით ზღვამდე."

მოწმეების - ზ. ბერდეხელიას, რ.პეტრიაშვილის, თ. ქირიას ჩვენებებიდან ჩანს, რომ ლტოლვილების გამოყვანას სწორედ პრეზიდენტი და მისი მომხრეები აწარმოებდნენ.

**თ. ქირიას, პოლიციის უფროსის ჩვენებით, 18 მანქანა გამოეყო პრეზიდენტის ბრძანებით, სამთავრობო ჯარების უწესრიგოდ გამოქცევის შემდეგ ოჩამჩირიდან მოსახლეობის გამოსაყვანად. იმ დღეებში ტელევიზიასა და პრესაში ცრუ განგაში იყო ატეხილი, თითქოს პრეზიდენტის მომხრეები ლტოლვილებს გზას უკეტავდნენ.**

საქმეში მოყვანილია ასეთი ფაქტი - 30 სექტემბერს სამტრედიაში თითქოსდა დააყაჩაღეს ჩოლოყაშვილის ბატალიონი. აფხაზეთის ომი გრძელდებოდა და რა უნდოდა ამ ბატალიონს სამტრედიაში? ანდა ვინ დააყაჩაღა? ხონში მოკლეს 5 რუსი სამხედრო ვითომდა ქუთაისიდან ბათუმში მიმავალი. როგორ აღმოჩნდნენ ისინი ხონში? ესაა ქართველთა სასაკლაოს მომწყობი ხალხი, რომელთა ინტერესები ერთი იყო.

ახლა იარაღის საკითხი: როგორც მოწმე ნ. ჟვანია ამბობს, გ. ოთხოზორიას ჰქონდა საშვი წითელი ხაზით, დადიოდა ხოლმე პოლიციაში ვადის გასაგრძელებლად. ასევე, მოწმე სორდიას ჩვენებით, მას გულუასთან მოლაპარაკების შემდეგ მართლაც ჰქონდა საშვი. გულუა იყო შევარდნაძის რწმუნებული და ჰქონდა ამის უფლება. ეს კარგად იცოდა კ. ადამიამ. ამ ნაწილში დაცვა გ. ოთხოზორიას უდანაშაულოდ თვლის.

საბრალდებო დასკვნა ზოგადია და მიმართულია იმისკენ, რომ პრეზიდენტის მიმართ შეიძლებოდეს საქმის შექმნა. ეს საბრალდებო კი არა, ცილისმწამებლური დასკვნაა. რას აკეთებდა გამოძიება 14 თვე? რატომ არ იყო საქმეში დადებითი ჩვენების მქონე მოწმეთა მასალა? რატომ დაიკითხა ცრუ მოწმეები? მით უფრო, რომ მათ ჩვენებას არავითარი კავშირი არ ჰქონდა საქმესთან? ეს მოხდა იმიტომ, რომ გამოძიება ხელისუფლების მონაა.

**თვით კიტოვანიც აღიარებს სამხედრო გადატრიალებას, მაგრამ ფაქტობრივი ხელისუფლება არ აღიარებს, რადგან მაშინ კოდექსის ამ მუხლებით მათ უნდა დაიკავონ განსასჯელთა ადგილი. ერი გაიხლიჩა და ისტორია იტყვის, ვინ არის მართალი - ზვიადისტები თუ შევარდნაძისტები. დღეს კი მოქმედებს პრინციპი: გამარჯვებულებს არ ასამართლებენ.**

გამოძიება იქნებოდა ჭეშმარიტების მსახური, რომ იგი ფაქტებს დაყრდნობოდა. ოთხოზორიას დაკავების ეპიზოდი ამ საქმეში უკანონობის გვირგვინია. იგი თავის შეხედულებებს არ მალავდა, მაგრამ შერიგებაზე მიდიოდა სამშობლოს სიყვარულის გამო. მოლაპარაკება ო. ფაცაციასა და კ. გვარამიასთან, თურმე, ფანდი იყო, რომლის შემდეგ ერთნი თანამდებობრივ სავარძლებში აღმოჩნდნენ, მეორენი კი განსასჯელის სკამზე. ამასთან, თანამდებობის პირი ფაცაცია არც კი შეაწუხეს სასამართლოზე მოსასვლელად. ეს იმიტომ, რომ არაა კანონის უზენაესობა, ამ პროცესებს იყენებენ პოლიტიკური ანგარიშსწორებისთვის.

უპრეცედენტოა ფაქტი, რომ 1993 წლის 27 ოქტომბერს გენერალური პროკურორი იძლევა დაპატიმრების სანქციას ისე, რომ არ არსებობს საქმის მასალა. რა, მან არ იცის 121 მუხლი? ანდა რა ძალა აქვს ისეთი მოწმის ჩვენებას, როგორიცაა ბერდეხელია, რომელსაც ჯერ 15-მა კაცმა მოუწყო ჩხრეკა და ერთი კვირის განმავლობაში სხვადასხვა გამომძიებლები უწყობდნენ დაკითხვას?

- ოქმებზე ხელს ყოველთვის არ მაწერინებდნენ... მე თვითონ არ ვკითხულობდი, მიკითხავდნენ... ჩეჩნები არ მინახავს... აბსანძე და გელანტია არ მინახავს, გამომძიებელმა მითხრა, იქ იყვნენო.

ვიშინსკის მეთოდები კვლავ მოქმედებს. ამაზე მეტყველებს 17 მაისს თოლორდავასთვის გამოტანილი განაჩენი.

**აქ ჯერ სასამართლო გამოძიება არ დამთავრებულა და უკვე სხვა მოსამართლეს გამოაქვს განაჩენი, რომელშიაც წინასწარ დადგენილად თვლის ბრალს ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფთა მიმართ. ეს კურიოზია, რომელიც მხოლოდ "დემოკრატიულ" საქართველოში შეიძლება მოხდეს.**

აუცილებლად ვთვლი, გავაკეთო მოკლე ისტორიული ექსკურსი. ვერც ერთმა დამპყრობელმა იმდენი ვერ ავნო საქართველოს, რამდენიც რუსეთმა მისი ყველა ხელისუფლების პოლიტიკა საქართველოს მიმართ მუდმივად დამყრობლური რჩება. მან მესამედ მოახდინა ქვეყნის ოკუპაცია (აქ მოსამართლე აფრთხილებს ადვოკატს, ილაპარაკოს მხოლოდ ოთხოზორიას ბრალთან დაკავშირებით). რახან ლაპარაკია სამშობლოს ღალატზე, მე უნდა დავიწყო იქიდან, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ 9 აპრილს გამოსცა დამოუკიდებლობის აქტი. სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. მშვიდობიანი გზით მოსული ხელისუფლების მოღვაწეობა სისხლში ჩაახშვეს ბოლშევიკურმა ძალებმა (მოსამართლე ხმამაღლა მიმართავს ადვოკატს - მიტინგს ნუ მიმართავთ აქ... ილაპარაკეთ ოთხოზორიას შესახებ). ყოველივე ეს უშუალო კავშირშია ბრალდებასთან. ოთხოზორია ვერ შეეგუა რუსული ჩექმის ბოგინს ქართულ მიწაზე და მის მლოკავთა უკანონობას, ის ვერ შეეგუა სისხლიან ხელისუფლებას და ბოლომდე დადგა სამშობლოს სადარაჯოზე. ცინიზმია წაუყენო ტერიტორიული ხელყოფის ბრალდება ადამიანს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი პრეზიდენტის მომხრეა.

სიცრუესაც აქვს ზღვარი. ვინ დაკარგა ტერიტორიები და გაამათხოვრა ქართველი ხალხი, ამას ქართველი ხალხი განსჯის. რამ აალებინა იარაღი ოთხოზორიას? რატომ დაარბიეს სამჯერ სამეგრელო ჩრდილოეთის მზის სხივებით გზაგაბრწყინებულმა მკვლელებმა და ნარკომანებმა, არ გაარჩიეს სქესი და ასაკი? . - მე ვიყავი, ვარ და ვიქნები ზვიადისტი, რადგან ეს სამშობლოს სიყვარულს ნიშნავს - ამბობს განსასჯელი. მას დანაშაული რომც ჩაედინა, არსებობს მე-16-ე მუხლი, უკიდურესი აუცილებლობის შესახებ. თუმცა, ამის მტკიცებულება საქმეში არ არსებობს.

ამნისტიას იმ მუხლების მიხედვით, რომლებსაც იგი ითვალისწინებს, ჩვენ უარვყოფთ, რადგან მათში დამნაშავედ განსასჯელი არ უნდა ჩაითვალოს. ამიტომ არ შევჩერდები იარაღის ტარების ნებართვაზე, რომელიც კ. ადამიამ დაპატიმრებისას დაუხია.

ბატონო თავმჯდომარევ, სახელმწიფო ბრალმდებელო!

**ფაქტობრივ ხელისუფლებას სურს პოლიტიკური ანგარიშსწორება. დღეს საქართველოში რომ ბოროტება ზეიმობს - დროებითია. ზვიადიზმი ვერ გასამართლდება. დღეს გამამტყუნებელი განაჩენი მხოლოდ ძალთა დემონსტრირებაა.**

თქვენი განაჩენი განსაზღვრავს, რა ადგილს დაიჭერთ ქართული სამართალწარმოების ისტორიაში. გთხოვთ, უარყოთ საბჭოური პრაქტიკა და გამოიტანოთ გამამართლებელი განაჩენი. თქვენ მართალი იქნებით კანონისა და ხალხის წინაშე!

# თავის დროზე კანონიერებას რომ ემძლავრა...

**დიახ, ეს იყო ტრაგედია და თავის დროზე კანონის უზენაესობას რომ ემძლავრა, ვინ იცის, დღეს ისეთი მძიმე შედეგები არ იქნებოდა, როგორიცაა ეროვნული ცნობიერების დარღვევა. ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა, უკანონობის ზეიმი, საქართველოს კვლავ უცხო ქვეყნის ქვეშევრდომად გადაქცევა.**

16 ივნისს ოთხოზორია-შურღაიას სასამართლოს მორიგი სხდომა დაიწყო ადვოკატ თემურ გოქსაძის დაცვითი სიტყვით:

"ძნელია, დაიცვა კაცი, ვისაც ბრალად ედება სამშობლოს ღალატი და ბანდიტიზმი. პროკურორი თავის გამოსვლაში კრიტიკული ანალიზისა და შეფასების გარეშე დაეყრდნო წინასწარი გამოძიების მასალებს. ამასთანავე, 17 მაისს თოლორდავას საქმეზე გამოტანილ განაჩენში ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ვალტერ შურღაია უკვე მიჩნეულია შეთქმულების მონაწილედ და დამნაშავედ. ამდენად, მე ზედმეტადაც კი მიმაჩნდა გამოსვლა, მაგრამ გარდა პროფესიულისა, კიდევ არსებობს ზნეობრივი მოვალეობა და მე იმედს არ ვკარგავ, რომ სასამართლო, გავა რა სათათბირო ოთახში, ობიექტურად იმსჯელებს.

აქ პროკურორმა დაგვამადლა, რომ დახვრეტა არ მოითხოვა, მაგრამ ჩვენთვის მთავარია მტკიცება და არა სასჯელი. მე რომ არ მწამდეს, რომ შურღაიას არ ჩაუდენია სამშობლოს ღალატი, არც დავიცავდი მას. სასამართლო გამოძიების პროცესში მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მას სამშობლოს ღალატი არ ჩაუდენია.

სამშობლოს ღალატის ბრალდება უნდა წარუდგინოთ ჭეშმარიტ მოღალატეებს - ეს ერის განაჩენი უნდა იყოს და არა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა დათრგუნვის ხერხი. სხვაგვარად, თვით სამშობლოს ცნებას ეკარგება აზრი. უნდა გავითვალისწინოთ ბრალდების პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური დატვირთვა, ეს საბრალდებო დასკვნაშიც ჩანს. მასში ათვლის წერტილად მიჩნეულია 91-92 წლების მოვლენები.

ჩვენ სასამართლო გამოძიების ყველა ეტაპზე განვაცხადეთ, რომ საქმეში არაა უშუალო და არაპირდაპირი მტკიცებულებები 65-ე და 78-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისა. ფაქტობრივად, არ არის მოწმე მის წინააღმდეგ. მას ან არ იცნობენ, ან იცნობენ როგორც ძველ დისიდენტს. დეპუტატს. მოხსენიებულია ფაქტები სხვა საქმეებიდან, რომლებიც ჯერ კიდევ ძიებაშია, მაგალითად, ვახტანგ (ლოთი) ქობალიას საქმიდან.

როდესაც ვამტკიცებ, რომ მას არ ჩაუდენია სამშობლოს ღალატი, მე ვეყრდნობი საქართველოს კონსტიტუციას და კანონებს, რომელთა მოქმედება შეწყვიტეს უხეში ძალით სწორედ მათ, ვინც დღეს იგივეს სხვას უყენებს ბრალად, ვინც ხალხის დემოკრატიული ნება ხელყო, შეეხო სახელმწიფო სუვერენიტეტს, მის დამოუკიდებლობას.

საბრალდებო დასკვნა წარმოქმნის პარალელებს - მისი შედეგი დისპოზიციაა მომხდარისა. საოცარია, გამოძიება რატომ ეძახის ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კონფლიქტს იმას, რაც სადავო არ იქნება შთამომავლობისთვის. ეს მაიძულებს ვილაპარაკო კანონიერებაზე, სამართლებრივად ასეა - იარაღით დამხობილ იქნა კანონიერი კონსტიტუციური წყობა. ესაა სახელმწიფო დანაშაული და ყველა მისი შედეგი უკანონოა იურიდიულად, თუნდაც მოხდეს "დაკანონება" არჩევნების ან სხვა გზით. ამიტომ, ბრალდების ფორმულირება არასამართლიანია.

რაც შეეხება სუვერენიტეტის შელახვას, პირიქით, ამას ადასტურებს 31 მარტის რეფერენდუმი და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი, სწორედ დღევანდელმა მთავრობამ უარყო თავისივე პროგრამა - შეიყვანა საქართველო დსთ-ში, დააკანონა რუსეთის სამხედრო ძალა. საბრალდებო დასკვნით, აფხაზეთის ომში დამარცხება პრეზიდენტს ბრალდება. ამის მტკიცებულებები საქმეში არაა. თვით შურღაიას მთელი მოღვაწეობა - გამოსვლები, პრესა, წინასწარი გამოძიების ჩვენებები, ცხადყოფს, რომ პირიქით, იგი მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლას. სასამართლო გამოძიებაში აისახა აფხაზეთის დაკარგვის ტრაგედია. ეს ბრალდება განსასჯელსაც ეხება, რის გამოც, იძულებული ვარ მის მიზეზებზე ვისაუბრო. ამის სრულ საფუძველს იძლევა საქმის მასალები და ბოლოდროინდელი პრესა.

1. საქართველოს კონსტიტუციის გაუქმებამ, რომლის მიხედვით აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. საშუალება მისცა არძინბას აემოქმედებინა ძველი კონსტიტუცია.

2. როგორც მაშინდელი თანამდებობის პირები და სარდლობა აცხადებს, ომს შეხვდნენ მოუმზადებელი.

3. ერთიანი სამხედრო ხელმძღვანელობის არარსებობა.

4. კაპიტულანტური ხელშეკრულებები, რომელთა ძალით განიარაღდა მხოლოდ ქართული მხარე. ამის შესახებ ისაუბრა ბატალიონის მეთაურმა ტ. წითელაშვილმა.

· ახლა ლტოლვილების შესახებ: აქ არაერთმა მოწმემ დაადასტურა, რომ ზუგდიდის რაიონში 150 ათასზე მეტი ლტოლვილი იყო. ორგანიზებულად ხდებოდა ჯარის - მესტიიდან მათი ჩამოყვანა. მათ მიმართ ბანდიტიზმის ფაქტების დასადასტურებლად საჭიროა კონკრეტული მასალა. რა შეხება აქვს ამასთან შურღაიას?

. რაც შეეხება მებრძოლებისთვის იარაღის ჩამორთმევას, ვინც ორგანიზებულად გამოდიოდა, ხელიც არ უხლიათ, დეზერტირებისთვის ჩამორთმეულ იარაღს კი გალი - ოჩამჩირის მოსახლეობას ურიგებდნენ. ეს მოწმეთა ჩვენებებში ჩანს. ასეთი ზოგადი ბრალდებების წაყენება არა მარტო უმართებულო, არამედ უზნეობაცაა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვამტკიცებ, რომ ვალტერ შურღაიას არ ჩაუდენია სამშობლოს ღალატი და ამ მუხლით მოვითხოვ მის გამართლებას. ასევე არ მოიპოვება საქმეში ბანდიტიზმში მისი დანაშაულის დამამტკიცებელი მასალა. მას არამარტო პირადად არ მიუღია მონაწილეობა მკვლელობებში, ხანძრებში, ობიექტებზე თავდასხმებში, არამედ არც ორგანიზატორი ყოფილა. მისი ბრძოლის მეთოდი იყო მშვიდობიანი. თუ ამ ბრალდებათა საფუძველია ის, რომ მას 1993 წლის 2 სექტემბერს უზენაესი საბჭოს სესიამ აღუდგინა უფლებამოსილება, ეს სრულიად უსაფუძვლოა. თუ შურღაიას სტატუსი იყო უკანონო, მაშინ რაღას წარმოადგენდა სამხედრო საბჭო ან სახელმწიფო საბჭო? მე, ალბათ, პასუხს ამ კითხვაზე ვერ მივიღებ.

3 აგვისტოს მანიფესტის შემდეგ ვ. შურღაია მოკლებული იყო აქტიური მოქმედების საშუალებას. როგორც მოწმეებმა ა. რცხილაძემ და ბ. დანგაძემ აღნიშნეს, დეპუტატებს სამხედრო საქმეებთან შეხება არ ჰქონიათ. თვით შურღაიას კავშირი ჰქონდა მხოლოდ გ. ოთხოზორიას რაზმთან, რომელიც აფხაზეთში იბრძოდა.

ცალკე საკითხია 23 ოქტომბრის მიტინგზე გამოსვლა, ამას თავისი მიზეზები აქვს. შურღაიამ თავისი თვალით ნახა 1992 წელს სამეგრელოში სამთავრობო ნაწილების მიერ მკვლელობის, გაუპატიურების, წამების ფაქტები. მოსახლეობა კვლავ დადგა ამგვარი განსაცდელის წინაშე. შურღაიამ მოუწოდა ხალხს დაეცვათ თავისი ოჯახები. მას ამის რეალური საფუძველი ჰქონდა. სამწუხაროდ, შურღაიას მოლოდინი გამართლდა. კიდევ ერთხელ დარბეულ იქნა სამეგრელო. შურღაიას არ შეუქმნია არავითარი ბანდიტური ჯგუფი და ამ ნაწილშიც ვითხოვ სასამართლოს გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი.

ბრალი იარაღის ნაწილში 238 მუხლით თუმცა ამნისტიას ექვემდებარება (1,2 ნაწილი), მასში განსასჯელი თავს დამნაშავედ არ ცნობს. 4 აგვისტოს მას მისცეს იარაღის ტარების ნებართვა. ის, რომ ეს ფაქტი არ დასტურდება, იმ მოწმეების სინდისზე იყოს, რომელთაც ეს იციან და არ გამოცხადდნენ სასამართლოზე. ხოლო რაც შეეხება შურღაიას დაკავების მომენტში ვითომდა იარაღის ამოღების ფაქტს, ამის შესახებ ნათლად მეტყველებს ქალბატონ აგრაფინა კუკავას ჩვენება. იარაღი "იპოვეს" ერთი საათის შემდეგ დაკავებიდან. მას შემდეგ, რაც ა. კუკავამ საწოლი დაათვალიერა და გაასწორა. ასევე აბსურდულია იარაღის "გასაღებად" მონათლო ის, რომ შურღაიამ ზეიკიძისგან მიღებული იარაღი გადასცა თავის სულიერ შვილს - გოჩა ოთხოზორიას აფხაზეთში საომრად წასვლის წინ. ამგვარად, 238(1,2,3) მუხლით წაყენებულ ბრალდებებში სასამართლოს ვთხოვ გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი.

განსასჯელს წაყენებული აქვს აგრეთვე ბრალდება 213 და 214 მუხლებით. ეს შეეხება ყალბი პასპორტის გამოყენებას. პირადად იგი ამ ფაქტს თავისთვის უსიამოდ და შეუფერებლად თვლის, მაგრამ, ჩემის აზრით, როცა სიცოცხლის საფრთხეა, ასეთი დანაშაული გამართლებულია. მაშინ ნებისმიერს შეეძლო ანგარიშსწორება პრეზიდენტის მომხრე კაცთან. ამიტომ, დეტალებს არ შევეხები.

ვალტერ შურღაიას ჰქონდა საქართველოდან გასვლის საშუალება, მაგრამ ეს არ გააკეთა, რადგან მას უყვარს თავისი სამშობლო და დარწმუნებულია, რომ მის წინაშე დანაშაული არ მიუძღვის. მას ურჩევნია 15 წელი ციხეში იჯდეს, ვიდრე გადაიხვეწოს. მე მოვითხოვ, იმის გამო, რომ საქმეში არ არის რეალური მტკიცებულებები, განსასჯელი გამართლებულ იქნეს.

# საუკუნეების მანძილზე

ოდისევსის მითი მრავალჯერ იქნა გადათამაშებული და ინტერპრეტირებული და იგი დღემდე რჩება ერთ-ერთ უცვლელ არქეტიპად საკუთარი წიაღიდან წასული ადამიანისა. საკუთარი სამკვიდრებლის მიტოვება კულტურის მითოსში ცოდვით დაცემის უკავშირდება და ღვთისგან დადგენილი ყველაზე საზარელი სასჯელია. ადამი ეთხოვება ედემს, ოდისევსი პენელოპეს, ტარიელი ნესტან-დარეჯანს. ასე მოგზაურობენ და მრავალ განსაცდელს გადიან ბეატრიჩესა და დულცინეას ძიებაში მამაცი რაინდები, რათა მოიპოვონ საკუთარი სამკვიდრებელი, დაუბრუნდნენ იმ წიაღს, სადაც ჩაისახა მათი არსებობის იდეა.

მატერიალისტურ სამყაროში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ იმქვეყნიური სამყაროს ანარეკლია, ასრებობს იგივე პრობლემა გარკვეული სოციალური თუ მატერიალისტური ასპექტებით დამძიმებული.

ასე იქცევა სამშობლოს არსებობის იდეა ფიზიკური სამშობლოს ფენომენად. შემდეგ იგი განუყოფელი ხდება და თაობიდან თაობას გადაეცემა. ჩნდება მისი დაცვის, მოვლის, გადარჩენის სურვილი. ჯერ ემპირიულ დონეზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მაშინ, როდესაც შენს ეთნოსს ავი რამ ემუქრება, ეს ინსტიქტი ტრანსფორმაციას განიცდის და იქცევა უკვდავ იდეად, რომელსაც მზად ხარ შეწირო, რათა საკუთარი ფენომენი გადაარჩინო. რადგან ადამიანი სამშობლოსთან კი არ თანაარსებობს, არამედ მისი ყოფიერება საკუთრივ მშობლიურ წიაღშია განფენილი და მის ორგანულ, განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

სამშობლოსთან განშორება, მისგან განკვეთა, გაუცხოვება თავისთავად არ არის ბუნებრივი მოვლენა. იგი, ალბათ, სამყაროში არსებული ძალადობის ზემოქმედებით ხდება და შესაბამისად ერთგვარ კონფლიქტს ბადებს. ეს კონფლიქტი არსებობს პიროვნებაში საკუთრივ და მის გარემომცველ სოციუმში საზოგადოდ. ადამიანები უსამშობლოოდ რჩებიან საკუთარ ქვეყანაში და მის გარეთაც. ამიტომ მოცემული საკითხი ერთი ან ორი პიროვნების პრობლემად კი არ რჩება, არამედ იგი სოციალურ მოვლენად იქცევა, რაც, ალბათ, სერიოზული დაფიქრებისა და განსჯის საგანი უნდა გახდეს.

## დღეს

უღმერთოდ და უსამშობლოოდ ყოფნა საერთო მსოფლიო წესრიგის მთავარ პრინციპს წარმოადგენს. და ამ პრინციპის საყოველთაო აღიარების მოთხოვნა გახლავთ სწორედ ის ძალადობა, რომელიც უბიძგებს მსოფლიოს იდენტიფიკაციისკენ, ინტეგრაციისკენ, ახალი ბაბილონის მოდელისკენ. ასე უნდა დაემსგავსოს ყველაფერი ერთმანეთს: მართლმადიდებელი -კათოლიკეს, ჩინელი-ამერიკელს, მამაკაცი - ქალს, სოფელი-ქალაქს. აღარ არსებობდეს ერები და ენები, ქვეყნები და ქალაქები, ე.ი. მთელი მსოფლიო იქცეს განურჩეველ მართვად ბრბოდ, რომელსაც საითაც გინდა, იქით წაიყვან; რასაც გსურს, იმას გააკეთებინებ; ვინც არ დაგემორჩილება, გაანადგურებ. ხოლო ის ანონიმური იერარქია, რომელიც დღემდე რჩება მსოფლიოს მმართველ ძალად, ყოველივე ამით ძალაუფლებას და კმაყოფილებას იღებს.

პაზოლინის ერთ-ერთი ბოლო ფილმი "სალო" სწორედ ამის კლასიკური მაგალითია. ადამიანები, რომლებიც რეჟიმს სრულ მორჩილებაში ჰყავს და აკეთებინებს მხოლოდ იმას, რაც თვითონ სურს, სასოწარკვეთის პირას მიდიან, მათ დაკარგული აქვთ სარწმუნოება, ეროვნება, სქესი, პიროვნული თვისებები. მაშინ ერთ-ერთ მათგანს სიკვდილის წინ აღმოხდება - ღმერთო, რატომ მიგატოვე? და ეს კითხვა მართლაც საოცარი ტრაგიზმით ჟღერს იმ საზოგადოებაში, რომელსაც ერთხელაც კი არ გამოუვლენია საკუთარი ნება, ერთხელაც კი არ გამოუთქვამს პროტესტი.

ასე მკვიდრდება და იწყებს გაბატონებას მთელს მსოფლიოში კოსმოპოლიტური იდეოლოგია, რომელსაც სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა რეჟიმი მიზანმიმართულად ამკვიდრებდა. და ამ იდეოლოგიის მიზანია, მთელს ერს ზოგადად და თითოეულ ადამიანს ცალკე, ძალადობით წაართვას სამშობლოს ფენომენი და აქციოს იგი ექსპერიმენტების ობიექტად.

## საქართველო და ქართული ეროვნული ფენომენი

ამ თვალსაზრისით ერთგვარ პრობლემას ქმნიდა და ქმნის მსოფლიოში დამკვიდრებული, საყოველთაოდ მიღებული და მოქმედი წესრიგის ფონზე. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ მე-20 საუკუნის მიწურულს ისევ ქართველმა შეძლო ეთნიკური ღირსების, ტრადიციების, ეროვნული სულისკვეთების შენარჩუნება. იმ ქართველმა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ართმევენ სამშობლოს, ასიმილაციით ემუქრებიან, ეროვნული არასრულფასოვნების კომპლექსს უჩენენ, ყველა მეთოდით ცდილობენ მის გადაგვარებას.

## "იქ ხომ გზა ცრემლით არ ინამება არც სივრცეებზე სწუხს შეღამება"

ისეთმა ტრადიციულმა ქვეყნებმაც კი, როგორებიცაა ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია, ვერ შეძლეს ყოველივე ეს. სწორედ ამიტომაა, რომ დღეს მსოფლიოში გამეფებული იმპერიული რეჟიმი - ანუ დასავლური დემოკრატია გააფთრებით ეომება კავკასიას და კავკასიაში არსებულ ყველა ეროვნულ ძალას, განსაკუთრებით კი საქართველოს. ეს ომი მაშინ დაიწყო, როდესაც საქართველოში გამოღვიძებულმა და აზვირთებულმა ეროვნულმა ცნობიერებამ ადამიანებს სულ სხვა პრინციპებით შესთავაზა ცხოვრება, სულ სხვა იდეალები დაუსახა.

მაშინ ყველამ იგრძნო, რომ სამშობლო გააჩნია, რომლის ფასიც სხვა ღირებულებების ფონზე განუზომელია. ალბათ, ყველას ახსოვს, რამდენი ემიგრანტი დაბრუნდა მაშინ საქართველოში, რამდენმა ქართველმა გადაიკითხა ხელახლა ილია ჭავჭავაძე, როგორი ბრწყინვალებით აფრიალდა ეროვნული დროშები, რამდენ ადამიანს გაუჩნდა ჭეშმარიტი საზრუნავი, რამდენი სანთელი აინთო და რამდენი ლოცვა აღევლინა სამშობლოსთვის.

შემდეგ ჩვენ ეს სამშობლო წაგვართვეს. წაგვართვეს ძალადობით. ზოგი გააძევეს, ზოგიც ნებაყოფლობით გაამგზავრეს. აქ დარჩენილებს ყველა

ქეთევან ქურდოვანიძე

მეთოდით გვაგრძნობინეს, რომ ჩვენი თავი ჩვენ აღარ გვეკუთვნის ამ უცხო და უკაცრიელ გარემოში.

ბოლო ოთხი წლის მანძილზე ათასობით ქართველმა დატოვა თავისი სამკვიდრებელი და უცხოეთს გაემგზავრა. მათ შორის იყვნენ ლტოლვილები, ვაჭრები, გამდიდრების სურვილით შეპყრობილნი, დიდების მაძიებელი შემოქმედნი, "სწავლას მოწყურებული" ახალგაზრდები. მათ შორის იყვნენ საკუთარი სამშობლოდან იარაღით გაყრილი ბავშვები, მათ შორის იყო ზვიად გამსახურდია, რომელმაც მხოლოდ საკუთარი ერის გადარჩენისთვის დატოვა თავისი ქვეყანა და ამით მის განუყოფელ ნაწილად იქცა.

## უცხოეთის ტრიუმფალური კარი

ყველასთვის გაიხსნა. ერთი შეხედვით დამყაყებული, ჭაობს დამსგავსებული შენი ქვეყანა, სადაც ყოფნისა და არსებობის ყველა შესაძლებლობა პრაქტიკულად ამოწურულია, კეთილ ცხოვრებას მოწყურებული ადამიანების თვალში, გადარჩენის არც თუ ისე პერსპექტიულ გზებს სახავს. მითუმეტეს, რომ მისი მოვლისა და აშენების ენთუზიაზმი კარგა ხანია ჩვენში ჩაკლეს თუ ჩაკვდა. და სულხან-საბას იგავისა არ იყოს - ერთ, მშვენიერ დღეს დარჩენილი ბაყაყი უკან დაბრუნებულ ყანჩას დამშრალ ჭაობში შეიძლება მკვდარიც კი დახვდეს, თუმცა ეს სიკვდილი ათასჯერ უფრო დიდებულია, ვიდრე სიცოცხლე მარტოდმარტო უმშვენიერესი ყვავილების გარემოცვაში.

თავის პირად ბარათში არსებული რეჟიმის მიერ სამშობლოდან ძალადობით გაძევებული ერთი ქართველი ემიგრანტი წერდა: "იმას, რასაც საქართველოში აიტან, მის გარეთ - ვერასოდეს. აქ, რატომღაც, გიმძაფრდება თავმოყვარეობის გრძნობა და სრულიად აუტანელია მცირედი შემოტევის მცდელობაც კი..."

ასე რომ, გადარჩენის შანსი მხოლოდ საკუთარ წიაღში უნდა ეძიო, რადგან მხოლოდ იქ არსებობს შენთვის მარადიული ფასეულობები. მხოლდ იქ ძალგიძს შექმნა რაიმე ღირებული: , "საქართველოდან გასული კაცი, საქართველოზე ვერაფერს დაწერს ღირებულს" - აღნიშნავდა სამშობლოს ძალადობით მოშორებული ქართველი, რომელსაც კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ მისი მდგომარეობა არსებული რეჟიმის სისასტიკითაა განპირობებული, რომ ის დროებით, იძულებით იმყოფება იქ, სადაც არავის სჭირდება, არავინ იცნობს: "ხანგრძლივ ემიგრაციაზე ფიქრიც კი ძნელია. პირადად მე, მაგალითად, იმით ვინარჩუნებ გარკვეულად სულიერ წონასწორობას, რომ ხაზგასმულად ვრჩები უცხოელად, რომელიც მიზეზთა გამო დროებითაა მათ ქვეყანაში და შესაბამისად იქცევა ისე, როგორც მის კულტურაშია მიღებული, თუმცა პატივს სცემს აბორიგენულ წეს-ჩვეულებებს და საზოგადოდ მიღებული ქცევის ნორმებს. ასეთი უპირატესობა არ გააჩნიათ მათ, ვინც ამ ქვეყნის მოქალაქეა და დაბადებით ამ ქვეყნის მკვიდრი არ არის".

ამგვარად ცდილობს შეინარჩუნოს თავისი ეთნიკური ფენომენი, არ დაკარგოს საკუთარი თავი ჭეშმარიტმა ქართველმა უკეთესი მომავლის მოლოდინში. არ გაერიოს და გაითქვიფოს ბუტაფორიად ქცეულ ღირებულებებში, არ შეეთვისოს სულ სხვა ზნეობრივი პრინციპებით დაფუძნებულ თვალისმომჭრელ ყოფას და მარად საკუთარ სამშობლოზე მეოცნებედ დარჩეს. აი, რას სწერს იგი საკუთარ შვილს ემიგრაციიდან: "ჩემო ძვირფასო, უნდა იცოდე, რომ, სულ ცოტა, არავიზე ნაკლები ერის შვილი არა ხარ, მაგრამ ამავე დროს არ მისცე შენს თავს უფლება ბრიყვული, უნიადაგო სიამაყისა. ამპარტავნების ცოდვასაც ამ გზით აიცდენ და კიდევ ერთი და უმთავრესი! თუკი სხვა ქვეყანაში, სხვა ერის ხალხში მოხვდები, შეგაფასებენ მხოლოდ შენ, შენს უნარს, ცოდნას, ნებისყოფას, ჯანმრთელ სხეულს. დაგაფასებენ მხოლოდ მაშინ, თუკი ხარ კარგი და ამასთან ქართველი, რომელიც არ დათმობს თავის ქართველობას... უცნობი ადამიანები მხოლოდ მას მერე ინტერესდებიან ჩემი პირადი ამბებით, როდესაც იგებენ, რომ აქ დროებით ვარ და ჩემს სამშობლოში ვბრუნდები საბოლოოდ".

ამ ნაღვლიან, იმედით აღსავსე სტრიქონებში ერთბაშად ამოიკითხავ მამის სიფრთხილეს, რომელიც ცდილობს საკუთარი მოდგმა დაიცვას იმ განსაცდელისგან, რაც წილად ხვდა საკუთრივ მას უცხოობაში გატარებული, მტანჯველი, გაუსაძლისი დროის ტრიალში, იმის შემყურე, თუ როგორ დაეხეტებიან ქართველი სტუდენტები მდიდარი სპონსორების ძიებაში; როგორ "სწავლობენ" უცხო ენას და ავიწყდებათ საკუთარი, ეძიებენ ადვილად ცხოვრების გზებს და აღარ ახსოვთ ის დიდი განსაცდელი, რაც მათ სამშობლოს თავს დაატყდა; აწყობენ და რთავენ მშობლების მიერ თავისუფლებაზე გაცვლილ ქოხებს და სჯერათ, რომ კარგად მოეწყვნენ. ასე გაივლის მათი ცხოვრება და ისინი დაემსგავსებიან ლამურებს - უცხონი უცხოთა შორის. მათ აღარავინ მოიგონებს, ისინი არავის ემახსოვრება.

## მაგრამ არსებობს ერთი კანონზომიერება

რაც ქართული ფენომენის განუმეორებელ თვისებად შეიძლება ჩაითვალოს. ქართველი ვერ ქმნის ემიგრაციას, ვერ მკვიდრდება უცხო მიწაზე, ხოლო საქართველოში ყველა ერს განურჩევლად ეძლევა მკვიდრობის საშუალება. ისტორიულად არც ყოფილა იმის მაგალითი, რომ ქართველები ასე მასიურად გაქცეულიყვნენ საკუთარი ქვეყნიდან, ეს, ალბათ, არსებული რეჟიმის განუმეორებელმა სისასტიკემ გამოიწვია.

და იმის ნაცვლად, რომ დღეს ქართველი ვაჟკაცები თავისი შვილების მომავალს საკუთარ სამშობლოში ქმნიდნენ, ისინი, ყოველდღიური არსებობის ხიბლით გატაცებულნი, ღირსებაშელახულნი ლუკმა-პურის საშოვნელად უცხოეთში გადასახლებულან და მათი ყოფა მართლაც რომ შემზარავია.

არც დიდების საძიებლად უცხოეთში წასულ შემოქმედთ ელით წარმატება. იქ მათი შემოქმედება არავის აღელვებს და ქართველთა მეხსიერებაშიც მათი სახელები თანდათან დავიწყებას ეძლევა. ასე გადაიქცევიან, უკეთეს შემთხვევაში, ნიჭიერი მუსიკოსები კაბარეს მომღერლებად, კარგი მხატვრები - ქუჩის მაესტროებად, მშვენიერი მსახიობები - შაპიტოს ვარსკვლავებად, რადგან იმ სამყაროში ხელოვნება წარმოებით მოვლენად ქცეულა. მახსოვს, როგორი ტრიუმფით ჩაიარა ერთ-ერთი ქართველი მუსიკოსის გასტროლებმა უცხოეთში. შემდეგ ეს მუსიკოსი საცხოვრებლად საზღვარგარეთ გადასახლდა. დღეს მის სახელსა და გვარს აღარავინ ახსენებს. უცხო გარემოში, სადაც სულ სხვა პრინციპები და კანონები მოქმედებს, იგი დაიღუპა როგორც შემოქმედი.

## და მაინც

საქართველოში არსებული მარიონეტული რეჟიმის უმთავრესი მიზანი ქართულ ეთნოსთან ბრძოლაა, რადგან იაფეტური მოდგმა ოდითგან გახლდათ ბაბილონების ჩამშლელი. ბიბლიური გოდოლის მშენებლობა დღესაც გრძელდება. მართალია, მან საუკუნეების მანძილზე სხვა სახე მიიღო, მაგრამ მიზანი უცვლელი დარჩა და რაოდენ ძვირფასია იმის გააზრება, რომ ამ მშენებლობაში ქართველი ერი ხაზგასმით არ მონაწილეობს, არ მონაწილეობს სისხლისა და მსხვერპლის, დევნისა და შევიწროების ფასად. მას ხან ღიად ემუქრებიან საკუთარი მიწა-წყლიდან აყრით, ხან შეფარულად ერეკებიან, ენას ართმევენ, სამკვიდრებელს უბილწავენ, მაგრამ სულიერი სამშობლო მისთვის მარად ხელშეუხებელი რჩება.

ქართველთა მოდგმას არ ძალუძს სხვათა მიწაზე დამკვიდრება, რადგან უცხოობაში მყოფს ყოველთვის თან სდევს სამშობლოს უკვდავი სული, როგორც ზღვაში გაჭრილ ხომალდს მიჰყვება ხოლმე მოწყენილი ალბატროსი.

## ქრონიკა

### "სვობოდა"

"სვობოდასთვის" მიცემულ სატელეფონო ინტერ-
იუში დუდაევმა განაცხადა, რომ ის აფრთხილებ
საერთაშორისო საზოგადოებას რუსეთში ტერორ
სტული აქტების მოწყობის საშიშროებაზე. დუდაე
არ გამორიცხავს ახალ ტერორისტულ აქტებს რუ
ეთში, რომელიც შეიძლება განახორციელ
ჩეჩნეთის საველე მეთაურებმა მისი ნებართვ
გარეშე. ინტერვიუში დუდაევმა უარყო ელცინ
განცხადება თურქეთისთვის თავშესაფრის თხოვნაზ

- ჩეჩნეთში სიტუაციის გამწვავებასთან დაკავში
ებით, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლე
და მათი ოჯახის წევრები იმყოფებიან განსაკუთ
ებული დაცვის ქვეშ. რუსეთის მთავრობის გადაწყ
ტილებით, დაცვა გაუძლიერდა თეთრ სახლსა
მოსკოვის ქუჩებში გამოჩნდა ჯავშანტექნიკა
ომონის გაძლიერებული რაზმები. ისინი აპატიმრებ
კავკასიური ჰაბიტუსის მქონე ყველა პირს. 18 ივნი
ასეთი ოპერაციისას დააკავეს 10 000 კაცი. უში
როების ფედერალური სამსახურის ცნობით, რუსეთ
ტერიტორიაზე გაძლიერდა კონტროლი, განსაკუთ
ებით, ატომურ ელექტრო სადგურებსა და ბირთვულ
იარაღის საწყობებზე.

19 ივნისს, დღის 10 საათზე პრემიერ-მინისტრ
ვიქტორ ჩერნომირდინი ბუდიონოვსკში დაუკავშირდ
ტერორისტთა ლიდერს შამილ ბასაევს. მოლაპარა
ებისას დაზუსტდა მძევალთა რიცხვი, რომლები
გაჰყვებოდნენ ტერორისტებს ცოცხალი ფარის სახ
და მარშრუტი ჩეჩნეთამდე. 15 სთ-ზე ტერორისტე
მძევლების თანხლებით ჩასხდნენ "იკარუსის" ტიპ
ავტობუსებში და გაემართნენ სოფ. ვედენოსკენ. ავ
ობუსებში ბოევიკებთან ერთად ჩასხდნენ დეპუტატე
ჟურნალისტები და მოხალისე მძევლები. მიუხედავ
ჩერნომირდინის გარანტიებისა, ავტოკოლო
შეაჩერეს ოსეთის გზაზე. კიდევ კარგი, რომ ტერორ
სტებმა მარშრუტი შეცვალეს და გზა დაღესტნ
გავლით გააგრძელეს. ამით ბუდიონოვსკის ტრაგედი
ერთი ეტაპი დამთავრდა. დამთავრდა იგი ბოევიკებ
გამარჯვებით. მათ მიაღწიეს თაიანთ მიზანს
საომარი მოქმედებები ჩეჩნეთში შეჩერდა. დაიწყ
მოლაპარაკება გროზნოში ეუთო-ს შტაბ-ბინაში რუ
ეთისა და ჩეჩნეთის ოფიციალურ წარმომადგენლებ
შორის. ჩეჩნეთის დელეგაციას წარმოადგენენ - იმ
ევი და მასხადოვი. რუსეთის მხარეს - ნაციონალურ
საქმეების მინისტრის პირველი მოადგილე ვიაჩესლა
მიხაილოვი.

20 ივნისს, დილის ათი საათისთვის 7 ავტობუ
სისგან შემდგარი კოლონა, რომლებშიც "ტერორი
სტები" და მძევლები იმყოფებოდნენ, ჩავიდა დაღე
სტნის ხასავ-იურტში. კოლონის შემადგენლობაში
აგრეთვე, გვამებით დატვირთული რეფრიჟერატორი
ხასავ-იურტში შამილ ბასაევმა მოლაპარაკება გამართ
ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგა
ბასაევი მოითხოვდა კოლონა ჩეჩნეთის საზღვრე
ბისკენ გაეტარებინათ უმოკლესი გზით. მან აგრეთვ
მოითხოვა რუსეთის ჯარების მიერ კონტროლირება
ტერიტორიაზე უსაფრთხოების გარანტიები.

გროზნოში გრძელდება რუსეთ-ჩეჩნეთის მოლაპ
არაკებები. მხარეებმა განიხილეს სამხედრო სფეროში
შექმნილი პრობლემები: კერძოდ, დაპირისპირებულ
ძალთა დაშორიშორების და ცეცხლის საბოლ
შეწყვეტის საკითხები.

20 ივნისისთვის ცნობილი გახდა, რომ პრეზიდ
ენტი დუდაევი კვლავ ჩეჩნეთში იმყოფება. იტარ-
ტასის კორესპონდენტი გროზნოდან იტყობინება, რომ
დუდაევს კვლავ გამალებით ეძებს რუსეთის უშიშ
როების ფედერალური სამსახური, მაგრამ
ჯერჯერობით უშედეგოდ. უშიშროების ფედერალურ
სამსახურში ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები
მოდის დუდაევის ადგილსამყოფელის შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო
დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ
ამერიკა გმობს ბუდიონოვსკში ტერორისტების მიერ
მძევალთა აყვანას და მშვიდობიანი მოსახლეობის
განადგურებას. ვაშინგტონი მოუწოდებს ჩეჩნეთში დაპირისპირებულ მხარეებს მიუსხდნენ მოლაპარაკების
მაგიდას და საბოლოოდ დაარეგულირონ სისხლიანი
კონფლიქტი. მიუხედავად ამისა, ჰალიფაქსში, დიდი
შვიდეულის შეხვედრაზე ბუდიონოვსკის მოვლენები
შეაფასეს არა როგორც ტერორისტული აქტი,
არამედ როგორც ჩეჩნეთის ომის გაგრძელება.

- სააგენტო "იბერიას" ცნობით, კაზაკები თავს ესხმიან სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეებში მცხოვრებ ქართველებს, ბუდიონოვსკში მომხდარი ინციდენტის გამო. კაზაკები აცხადებენ, რომ ყველა კავკასიელმა, განურჩევლად ეროვნებისა, უნდა დატოვოს ეს ტერიტორია.

- სააგენტო "იბერიას" ცნობით, მიმდინარე წლის 7 ივნისს "სამხრეთ ოსეთის" უმაღლესმა საბჭომ მიიღო მიმართვა რუსეთის პრეზიდენტისა და რუსეთის საკრებულოსადმი. მიმართვაში ისინი მოითხოვენ "სამხრეთ ოსეთის" რუსეთის შემადგენლობაში შესვლას.

- "ვესტის" ცნობით, 19 ივნისს ფოთის პორტისკენ გეზი აიღეს რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სამხედრო გემებმა, რომელთაც გემი "ქერჩი" უდგას სათავეში. მასზე იმყოფება საზღვაო ფლოტის სარდალი, ადმირალი ბალტინი. საზღვაო ქვეითთა ბატალიონებს მიღებული აქვთ ბრძანება კონტროლქვეშ მოაქციონ საქართველოს ყველა მნიშვნელოვანი კომუნიკაცია იმ შემთხვევაში, თუ ჩეჩენი მებრძოლები გადაკვეთენ საქართველო-ჩეჩნეთის საზღვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა გვიამბო "შინდლერის სიამ"

მსოფლიოს სხვადასხვა სატელევიზიო არხები გამუდმებით აჩვენებენ ვიდეოკადრებს: იბომბება და მიწასთან სწორდება ჩეჩნეთის სოფლები და ქალაქები, იხოცებიან მოხუცები, ქალები და ბავშვები. მოსახლეობის გადარჩენილი ნაწილი იძულებულია მშობლიური მიწა-წყლიდან აიყაროს. ნაწილი კი ამჯობინებს ძმასთან, მეუღლესთან და მამასთან ერთად დარჩეს.

მსგავსი რამ შეიძლება მხოლოდ მხატვრულ ფილმში ნახო: ბრძოლის წინ ჩეჩენი მამაკაცები იარაღს მიწაზე აწყობენ და საცეკვაო ფერხულში ებმებიან, მათთან ერთად ცეკვავენ ქალებიც. ისინი განსაცვიფრებლად ლაღები არიან განსაცდელის ამ უმძიმეს ჟამს. ეს მათი ეროვნული თვისებაა, რომელიც სხვა ერისთვის შეიძლება სამაგალითოდ იქცეს. ამ მაგიური იმპულსის მქონე რიტუალით "სეპარატისტი" ჩეჩენი ხალხი მსოფლიოს აჩვენებს, თუ, როგორი შემართებით შეიძლება ებრძოდეს მცირერიცხოვანი და ამაყი ერი უთვალავ დაუნდობელ მტერს. დაასრულებენ თუ არა ჩეჩნები ცეკვას, დინჯად იღებენ იარაღს და აულელვებლად მიემართებიან ბრძოლის ველზე.

ამერიკის ახლად შექმნილი ისტორია მონდომებით ამსხვრევს საზოგადოების სტერეოტიპულ წარმოდგენებს დასავლეთის დემოკრატიაზე, ჰუმანიზმით გამთბარი მაძღარი ყოფის მშვენიერებაზე, ე.წ. ამერიკული ცხოვრების წესზე.

ამ ოდესღაც პოპულარული, ლაკირებული მითის დამკვიდრებას ყველაზე აქტიურად და მიზანდასახულად თითქმის საუკუნის განმავლობაში ემსახურებოდა ისეთი ეფექტური იდეოლოგიური იარაღი, როგორიც კინემატოგრაფია. ისევე უბრალოდ, როგორც წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირში, სადაც კინო მონდომებით თხზავდა ლეგენდას იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხალხი ყველაზე ბედნიერად გრძნობდა თავს ერთიან ძმურ ოჯახში. ცნობილია, თუ ამგვარი ილუზია. როგორ ძალადობაზე და რეპრესიებზე იყო დაფუძნებული.

თვით ისეთი პოპულარული კინოჟანრი, როგორიც არის ვესტერნი, შეიქმნა მხოლოდ იმიტომ, რომ ახალშობილი ამერიკელი ერისთვის დანაშაულისა და ისტორიული არასრულფასოვნების კომპლექსი შეემსუბუქებინა, როგორმე გაექრო ველური დასავლეთის მიწაზე სისხლიანი ლაშქრობების კვალი. კარგა ხანი კადრს მიღმა რჩებოდა "ცივილიზაციის თეთრი მისიონერების" მიერ მოწყობილი ინდიელთა მასობრივი გენოციდი, ამ უძველესი ისტორიის მქონე მკვიდრი მოსახლეობის ცივილიზაციის სახელით ძალითა და იარაღით საკუთარი მიწიდან აყრა.

ასე შეიქმნა "ველური" და "ვერაგი" ინდიელის, როგორც დაუმორჩილებელი და დაუნდობელი მტრის სტერეოტიპული სახე (ანალოგია გვხვდებოდა 20-30-იანი წლების საბჭოთა კინემატოგრაფში, ოღონდ მტრის სახეს, რა თქმა უნდა, წარმოადგენდა კაპიტალისტი, მღვდელი, კულაკი, ნაციონალისტი და ა.შ. ახალი სამყაროს შენების სქემა თითქმის ერთი და იგივე იყო). ვესტერნებში "ცივილიზაციის მისიონერები" იძულებულნი ხდებიან მკაცრად გაუსწორდნენ ურჩ ინდიელებს, რომლებიც თავს ესხმიან ბედნიერი ცხოვრების დასამკვიდრებლად მოსული თეთრი ადამიანების ოჯახურ ფურგონებს. ინდიელები ხოცავდნენ ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს. მსგავსი კოლიზიები სტერეოტიპული სახით გადადიოდა ფილმიდან ფილმში.

იმისთვის, რომ თავიანთი დამპყრობლური და უხეში პოლიტიკა როგორმე გაემართლებინათ, ამერიკელებს ესაჭიროებოდათ ეროვნული გმირი, ამგვარი გმირის შესაქმნელად ვესტერნმა რეალურად შეამზადა ნიადაგი. ეს კინორაინდები ველური დასავლეთის ათვისებას სხვადასხვა ავანტიურებით, ძალადობაზე და შურისძიებაზე დაფუძნებული საკუთარი სამართლით, თვითშეთხზული მართლმსაჯულებით ამკვიდრებდნენ. ასე იქცნენ ნაციონალურ გმირებად კინოვარსკვლავთა მიერ განსახიერებული კოვბოების, ლურჯგვარდიელების, კაპიტნების ეკრანული სახეები. ხოლო ამერიკელთა ტრადიციულ შეხედულებებს დემოკრატიაზე ბუნებრივად შეესისხლხორცა ინდიელთა მიერ დევნისა და ამერიკელთა ცხენებზე ჯირითის, "ორრევოლვერიანი კაცისა" და "ამერიკული დუელის" კინოშტამპი.

ასე შეცვალა ინდიელთა მისტიკური და მრავალსაუკუნოვანი კულტურა ტიპურმა ამერიკულმა ატრიბუტებმა, რომლებიც ეროვნულ სიმბოლოებად იქცნენ კინოფილმებში. ეკლესიის სამრეკლოს ფონზე აფრიალებული ვარსკვლავებიანი დროშა, მოედანზე გამართული მარტივი ცეკვები, პოკერის სათამაშო სახლები, ბარები, საროსკიპოები და ა.შ. ერთი სიტყვით, ძალადობისა და გენოციდის ხარჯზე დაკანონდა ველური დასავლეთის პრიმიტიული, მაგრამ "დემოკრატიული" მოდელი.

სამოციანი წლებიდან დაწყებული, ამერიკულ კინოში არის მცდელობა უცხო და ველურ ცივილიზაციასთან დიალოგის გამართვისა. შედარებით შერბილდა ინდიელის, როგორც მტრის, სახე. მის მიმართ ამერიკელი უკვე კეთილგანწყობილია და საერთო ენასაც ეძიებს. თუმცა, უცხო სამყაროსადმი შიში გარკვეულწილად მაინც ნარჩუნდება კინემატოგრაფში, ამიტომაც ინდიელთა ეროვნული ტრაგედიის მასშტაბური გააზრება არასოდეს ქცეულა ხელოვნებისთვის მთავარ იდეურ ორიენტირად. ისტორიული სიმართლე მხოლოდ ცალკეული შემთხვევის აღწერით, ამბის გარეგნული ასახვით ამოიწურებოდა. ისიც უფრო ტკბილი მელოდრამატული ჟანრის, ლეგენდის თუ ზღაპრის საბურველში იყო გახვეული და მიზნად არ ისახავდა დოკუმენტური სიცხადით რეალური ფაქტის გაშიფვრასა და გაანალიზებას, მის მკაცრ და შეუვალ შეფასებას.

სხვათა შორის, ცნობილი ამერიკელი მსახიობი მარლონ ბრანდო 10 წელზე მეტი ხანია ამაოდ ცდილობს გადაიღოს ფილმი ამერიკელ ინდიელებზე: "მსურს ვაჩვენო, თუ როგორ გავანადგურეთ ისინი, ყველამ მირჩია, ხელი ამელო ჩემს ჩანაფიქრზე, არავის სურს სიმართლეს თვალებში შეხედოს და აღიაროს, რომ ამერიკამ გენოციდი მოაწყო. ამერიკის ერთ-ერთმა გმირმა, გენერალმა გრანტმა მოსპო ეს ხალხი." ბრანდომ დიდი ენერგია დახარჯა, რომ ფილმისთვის როგორმე გამოენახა ფინანსური წყაროები, მაგრამ ამაოდ.

სამაგიეროდ, ამერიკელებმა უზარმაზარი ფინანსური და მორალური მხარდაჭერა გაუწიეს სახელგანთქმულ კინორეჟისორს სტივენ სპილბერგს, როცა მას "შინდლერის სიის" გადაღება შესთავაზეს. სპილბერგის საქვეყნოდ გახმაურებულმა ნაწარმოებმა შეძრა დაააფორიაქა მთელი მსოფლიო. მრავალი ოსკარით დაჯილდოებული ამ ფილმის მიმართ განსაკუთრებით სნობისტურ დამოკიდებულებას იჩენს ე.წ. თბილისური ელიტა - სწორედ ის ფენა, რომელსაც ძალიან აღიზიანებს ლტოლვილების და "სოფლელების" მომრავლება "ქალაქში", მაგრამ რატომღაც ძალზე აღელვებს და გულს უჩუყებს "შინდლერის სია".

თავისთავად ჩვენ არანაირი პროტესტის გრძნობა არ შეიძლება გვქონდეს ისეთი ტრაგიკული თემის მიმართ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, მოწყობილ ებრაელთა არნახულ გენოციდს ასახავს. ეს ფაქტი მართლაც შემზარავია, ხოლო ოსკარ შინდლერის გმირობა კი საარაკო. მაგრამ, სამწუხაროდ, "შინდლერის სიამ" გამოააშკარავა ჰოლივუდის და. საერთოდ, ამერიკული დემოკრატიის ერთი პარადოქსული ნიუანსი - ფილმის გლობალური წარმატების მიღმა ის იდეოლოგიური ქვაკუთხედი იმალება, რომელმაც შეუძლებელია პროტესტის გრძნობა არ დაბადოს ჩვენში.

შემთხვევითი არ არის, რომ პრეზიდენტი ქლინტონი პირდაპირ მოუწოდებდა თითოეულ ამერიკელს აუცილებლად ენახა ეს ფილმი. ოსკარის ცერემონიალის დაწყებამდე კი, მასობრივად იმართებოდა ამ ფილმის მხარდამჭერი აქციები.

თავად სტივენ სპილბერგი კარგა ხანია, რაც თანამედროვე ამერიკული კინოს ღმერთად აღიარეს, მიუხედავად ამგვარი თაყვანისცემისა, სპილბერგი არასოდეს გამხდარა ესოდენ პრესტიჟული "ოსკარის" მფლობელი. წლების მანძილზე სპილბერგის ფილმებს ყოველთვის ყველაზე შემოსავლიან და სამაყურებლო ფილმებად იხსენიებენ. მას არა მხოლოდ კინოს ღმერთად, არამედ ოთხმოციანი წლების კინოში "ბავშვური რევოლუციის" ერთ-ერთ მამამთავრად აღიარებენ. ნებისმიერი ასაკის მაყურებელი მისი ფილმების ყურებისას ბავშვურად მიამიტი და გულუბრყვილო ხდებოდა.

სპილბერგის კინოენა იმდენად უნივერსალური, მარტივი და სინთეზურია, რომ შეუძლებელია ზუსტად განსაზღვრო, როგორია მისი სტილი და ჟანრი. ამით განსხვავდებოდა იგი ე.წ. ელიტარული და ამბიციური რეჟისორებისგან.

მაშინაც კი, როცა იგი უოსკარო რეჟისორად ითვლებოდა, სპილბერგს არ აკლდა არც სიმდიდრე (იგი ერთ-ერთი უმდიდრესი კაცია ამერიკაში), არც მაყურებელთა სიყვარული. მაგრამ ის ერთადერთი, რაც ჰოლივუდში საჭიროა სრული ბედნიერებისთვის - ოსკარი, სპილბერგს საკმაოდ დიდი შემოქმედებითი კომპრომისის ფასად დაუჯდა. იგი იძულებული გახდა ეღალატა თავისი ხელწერისთვის, შემოეტანა კონკრეტული ჟანრი - დრამა, აერჩია განსხვავებული სტილი - დოკუმენტური და მხატვრული ელემენტების ერთგვარი სინთეზი.

თხრობისთვის რომ მეტი დამაჯერებლობა მიენიჭებინა, სპილბერგმა უმოწყალოდ იწყო. მაყურებელზე ემოციური მანიპულირება, მის ცნობიერებაზე გამიზნული, თითქმის იდეოლოგიური ზეწოლა (აბსოლუტურად უცხო რეჟისორის შემოქმედებისთვის). მითუმეტეს, რომ საქმე გვაქვს ისეთ ვირტუოზთან, რომლისთვისაც არავითარ ტექნიკურ სიძნელეს არ წარმოადგენს თუნდაც მთელი ქალაქის აშენება იმგვარი დამაჯერებლობით, რომ დეტალებსა და ფაქტურაში ზედმიწევნით გაცოცხლდეს ორმოციანი წლების პოლონეთის ოკუპირებული ქალაქის ატმოსფერო.

სათქმელისთვის დოკუმენტური დამაჯერებლობის მისანიჭებლად სპილბერგმა თავისთვის ესოდენ ორგანულ ზომიერების პრინციპსაც უღალატა, რასაც ფილმის უხეში და ზოგჯერ გულის ამრევი ნატურალიზმი მოწმობს. "ეკრანებიდან პირდაპირ სისხლის ნიაღვარი მოედინება" - გაოცებას ვერ მალავდა სპილბერგის მაყურებელი. ამიტომაც შავ-თეთრი ფირი პრეტენზიულად იკითხება და გამაღიზიანებელი ხდება, დოკუმენტური კატეგორიულობაც ერთგვარად სტალინური ეპოქის საბჭოთა ფილმებს მოგვაგონებს.

თითქოს მთელი ორი საათის მანძილზე ჩვენ მოწმენი ვხდებით, თუ როგორ ხოცავენ და არბევენ, ამცირებენ ებრაელ ხალხს. ომის უმწეო მსხვერპლნი ხდებიან ქალები, მოხუცები, ბავშვები (ფეკალურ მასაში კისრამდე ჩაძირული, ფაშისტებისგან დევნილი აცახცახებული ბავშვის ეპიზოდი, შეიძლება ითქვას, შლის და აქუცმაცებს სპილბერგისეულ სპეციფიკურ კინოენას). უცხოეთის სხვადასხვა სატელევიზიო არხები გამუდმებით ატრიალებენ ფილმის სარეკლამო რგოლს, რომელშიც მოზარდი გოგონა გაჭყინავი ხმით უყვირის სახლებიდან გამოყრილ ებრაელებს: "გაეთრიეთ აქედან!" და ქვებს ესვრის მათ.

ფილმის სიუჟეტური თუ სტილური აგებულება ბრტყელი, პლაკატური იდეის გამოხატვას ემსახურება: შეხედეთ, რა საწყალია ებრაელი ხალხი; შეხედეთ, როგორ აძევებენ მას საკუთარი სახლებიდან, უნგრევენ ტრადიციულ ოჯახებს; შეხედეთ, როგორ რყვნიან და ამცირებენ მის ეროვნულ ღირსებას.

მაგრამ ამ ხალხის ტრაგედია, ფილმის სტილისტიკიდან გამომდინარე, ვერ სცილდება კონკრეტული დრამის ვიწრო ჩარჩოებს, ამდენად, კერძო ეროვნული პრობლემა ვერ ზოგადდება დროსა და სივრცეში და ეს გასაგებიცაა, რადგან ამ პრობლემის განზოგადება თავისთავად შეახსენებდა ამერიკელებს თავიანთ არცთუ ისე შორეულ ისტორიულ წარსულს, ინდიელთა მიმართ მოწყობილი სასტიკი გენოციდი ხომ არაფრით ჩამოუვარდებოდა კაცთმოძულე ფაშიზმს. ამიტომაც სპილბერგი მხოლოდ ებრაული პრობლემით შემოიფარგლა.

სამწუხაროდ, ფინალურმა ეპიზოდებმა კიდევ უფრო გაამძაფრა სათქმელის ცალსახა პლაკატურობა: ოსკარ შინდლერი ებრაელების წინაშე თითქმის მუხლმოყრილი, ისტერიული ქვითინით წარმოთქვამს აღსარებას, რომ მას კიდევ შეეძლო ბევრი ებრაელის გადარჩენა. მისი ამგვარი თავგანწირვა იმჟამინდელ ისტორიულ ფონზე მართლაც რომ გამაღიზიანებელი ხდება დოკუმენტურობის ესოდენი პრეტენზიის გამო. "შინდლერის სიაში" ხომ შეიძლებოდა აღმოჩენილიყვნენ იგივე ბანაკებში ებრაელებთან ერთად არანაკლებ ტანჯული პოლონელები, რუსები, ჩეხები...

ფილმის ემოციური ზეწოლისგან იმდენად ვითრგუნებით, რომ უნებურად სამართლიანი პროტესტის გრძნობა გვიჩნდება. მითუმეტეს, რომ რეჟისორის ოსტატობა თავისდაუნებურად ამჟღავნებს შეუსატყვისობის არსებობას კონიუნქტურასა და რეალურ თანაგრძნობას შორის. შეუძლებელია, იყო ჰუმანური და მოწყალე მხოლოდ ერთი კონკრეტული ერის მიმართ და არ გაღელვებდეს, რომ ომის სისასტიკე დაუნდობლად უსწორდება სხვას. მაგალითად, სეპარატისტ და ბანდიტ ჩეჩენს, ფუნდამენტალისტ ტაჯიკს და ნაციონალისტ ქართველს, ისევე, როგორც თავის დროზე უსწორდებოდა ველურ და ვერაგ ინდიელს.

ვთქვათ, დასაშვებია, რომ შინდლერი მხოლოდ ებრაელებს მოევლინა მხსნელად, ისევე, როგორც ბიბლიური მოსე ეგვიპტეში დამონებულ ერს. ამგვარი ბიბლიური ალუზიები ხომ ოსტატურად ხელეწიფება სპილბერგს, რასაც განსაკუთრებით ადასტურებს ფინალური კადრის ამაღლებული ჟღერადობა: საკონცენტრაციო ბანაკებიდან გათავისუფლებული ებრაელი ხალხი ლაღად მოემართება ჩვენსკენ, კადრი ფერადდება. ისინი ბედნიერ სამყაროს - აღთქმულ მიწას უბრუნდებიან.. დაახლოებით ამგვარია ებრაელთა ისტორიული დრამის დასასრული.

სინამდვილეში "შინდლერის სიამ" ნაციონალისტური პროპაგანდის როლი შეასრულა, რომელიც თვით ფაშისტებსაც კი შეშურდებოდათ. ფილმის ამგვარი პლაკატური ფინალი ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ უსუსური შეიძლება აღმოჩნდეს თვით კინოს ღმერთად მონათლული კინორეჟისორიც კი კონიუნქტურის წინაშე. "მოზარდის" რეჟისორი სპილბერგი იძულებული შეიქნა ბევრად გაზრდილიყო და სამაგიეროდ, ოსკარი დაემსახურებინა, არცთუ ისე უსაფუძვლოდ.

**P.S.** ცნობილი მსახიობი მარლენ დიტრიხი არასოდეს ყოფილა ოსკარის მფლობელი. გერმანიიდან გამოქცეულმა, ხან ამერიკას შეაფარა თავი, ხან საფრანგეთს, ამიტომ ძნელია დავადგინოთ, რომელ ეროვნულ კინემატოგრაფს განეკუთვნება დიდი მსახიობი. მარლენ დიტრიხი თავის მემუარებში "განსჯანი" სამართლიანად დაასკვნიდა: "ოსკარზე უბრალოდ წარდგენაც კი გარკვეულ აღიარებას ნიშნავს. აი, იმ როლების სია, რომლებსაც გარანტირებული აქვთ ოსკარი: ცნობილი ბიბლიური პერსონაჟები, მღვდლები ან უსინათლოები, ხეიბრები, მუნჯები, ფსიქიურად დაავადებულნი, რაც უფრო ტრაგიკულია ფილმი, მით უფრო მეტი შანსი აქვს მიიღოს ოსკარი". ეს სიტყვები ნაწილობრივ ფილმის - "შინდლერის სია" რეჟისორსაც ეკუთვნის. მან ხომ ამ ფილმით არა მხოლოდ ამერიკა აატირა.

მარლონ ბრანდომ 1972 წელს უარი განაცხადა ოსკარის მინიჭებაზე. სცენაზე ასულმა ნაციონალურ კოსტუმში გამოწყობილმა ახალგაზრდა ქალმა-ინდიელთა ასოციაციის პრეზიდენტმა ბრანდოს საპროტესტო წერილი წაიკითხა, რითაც ელიტარული აუდიტორიის სტვენა და შეძახილები დაიმსახურა. კინოაკადემიისადმი მიმართვაში მსახიობმა ბრალი დასდო ამერიკულ კინომრეწველობას იმაში, რომ ის არაკეთილსინდისიერად ასახავდა ინდიელთა თემას ეკრანზე.

ვიმედოვნებთ, რომ ოდესმე მარლონ ბრანდოს მიეცემა საშუალება აისრულოს მრავალი წლის სანუკვარი ოცნება - გადაიღოს ფილმი ამერიკელების მიერ მოწყობილ ინდიელთა გენოციდზე. ოღონდ ეს იქნება არა კონიუნქტურული კინონაწარმოები, არამედ ჭეშმარიტი ტრაგედია, ზესიმართლე, რომელიც სხვა ერების დრამატულ ხვედრზეც მწარედ დააფიქრებს მაყურებელს.

ოლღა იოსელიანი

## ქრონიკა

უწყებათა შორის ბრძოლამ ქალაქ მოსკოვის ქუჩებში გადაინაცვლა. 7 ივნისს, უშიშროების ფედერალური სამსახურისა და მილიციის თანამშრომლებს შორის მომხდარი სროლების დროს დაიღუპა ერთი მილიციელი და დაიჭრა სამი სრულიად უდანაშაულო ადამიანი.

ახლახან გამომზეურებული ოფიციალური დოკუმენტის თანახმად, მეორე მსოფლიო ომის დროს კატინის ტყეში საბჭოთა ძალების მიერ ათასობით პოლონელი ოფიცრის დახოცვის ფაქტი მიჩქმალა ბრიტანეთის სახელმწიფომ, საბჭოთა კავშირთან მისი მოკავშირეობის დაცვის მიზნით. ბრიტანეთის დაზვერვამ ბრიტანეთის მთავრობას მისცა ინსტრუქცია: საჭიროა კატინის ხოცვაჟლეტის სიყალბედ გამოცხადება. რეკომენდაციაში ნათქვამია, რომ ეს ფაქტი გამოიწვევს ბრიტანელთა აღშფოთებას ჩვენი მოკავშირეობის გამო სსრკ - თან. მოსკოვმა პასუხისმგებლობა კატინისთვის მხოლოდ 1990 წელს იკისრა.

იაპონიის პროკურატურამ სასიკვდილო განაჩენი მოითხოვა რელიგიური სექტის აუნ-სენ-რიკიოს სულიერი მოძღვრისთვის, ოსახარასთვის. მას ბრალად ედება ტოკიოს მეტროპოლიტენში განხორციელებული ტერორისტული აქტის ორგანიზება და მისი განხორციელება. მომწამვლელი გაზით "ზარინით" დაიღუპა რამდენიმე ასეული იაპონელი. ოსახარამ აღიარა, რომ მისი სექტის მიერ დამზადდა მომწამვლელი ნივთიერება "ზარინი". მისივე თქმით, ორგანიზაცია აწარმოებდა აგრეთვე თანამედროვე იარაღის შესყიდვას. გამოძიების მასალებზე დაყრდნობით, იაპონური რელიგიური სექტის მოღვაწეობის კვალი მოსკოვში მიდის, სადაც სექტას მძლავრი რეგიონალური ორგანიზაცია ჰყავს.

ნოვოვორონეჟის მახლობლად არსებულ სამხედრო პოლიგონზე მეტად სერიოზულ ინციდენტს ჰქონდა ადგილი. საბრძოლო სროლების დროს თვითმფრინავიდან გაშვებული რეაქტიული ჭურვი ოდნავ ასცდა ატომურ ელექტრო სადგურს. რუსეთის გენერალური შტაბის ბრძანებულებით სამხედრო პოლიგონზე აიკრძალა დიდი მუხტის მქონე ჭურვებისა და რაკეტების გაშვება. მიუხედავად მომხდარისა, საბრძოლო სროლები აღნიშნულ პოლიგონზე გრძელდება, რადგან მისი სხვა ადგილზე გადატანა დიდ სახელმწიფო ხარჯებთან არის დაკავშირებული.

საფრანგეთის სამხედრო უწყებამ პრეზიდენტ ჟაკ შირაკს წარუდგინა ქვეყნის ბირთვული განვითარების პროგრამა. მან განაცხადა, რომ საფრანგეთი სექტემბრიდან განაახლებს ბირთვული იარაღის გამოცდას. წყნარი ოკეანის სამხრეთში, ატოლის არქიპელაგის ერთ-ერთ კუნძულზე განლაგებულ პოლიგონზე დაგეგმილია 8 მიწისქვეშა აფეთქების ჩატარება.

ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მთავრობებმა გამოთქვეს შეშფოთება რეგიონში მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფის გამო. ცნობისთვის, საფრანგეთის ატომური პოლიგონები განლაგებულია მისი ქვეშევრდომი ქვეყნების ტერიტორიაზე წყნარ ოკეანეში.

ერაყში ადგილი ჰქონდა სამხედრო გადატრიალების მცდელობას. პუტჩის მოწყობა სცადა ერაყის ჯავშან-სატანკო ჯარების ერთ-ერთმა ბატალიონმა. ამბოხებულები რადიოსადგურის დაკავებას ლამობდნენ, მაგრამ სადამ ჰუსეინის ერთგულმა ჯარის ნაწილებმა ჩაშალეს მათი მცდელობა. აჯანყება ჩახშობილია. ბაღდადში გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა.

კანადის ქალაქ ჰალიფაქსში გაიხსნა მსოფლიოს 7 უმძლავრესი ეკონომიკური ქვეყნის მეთაურთა სამმიტი, რომელზეც განიხილება მსოფლიო პოლიტიკის აქტუალური პრობლემები და გლობალური ეკონომიკური საკითხები. ჰალიფაქსში წამყვანი ეკონომიკური ზესახელმწიფოების მეთაურთა გარდა მიწვეულია რუსეთის პრეზიდენტი: როგორც ცნობილი გახდა, რუსეთს უარი ეთქვა ზესახელმწიფოთა ელიტარულ კლუბში გაწევრიანებაზე.

უკრაინის სამხრეთში კვლავ მძვინვარებს ქოლერის ეპიდემია. ექიმები ჯერჯერობით ვერ ახერხებენ ეპიდემიის ლოკალიზებას. ჰოსპიტალიზირებულია 111 ადამიანი. სპეციალისტების აზრით ეპიდემიის დასაძლევად აუცილებელია მდინარე ნიკენი ბუკში მავნე ნარჩენების ჩაშვების შეწყვეტა.

რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ბაზა ამიერიდან ქ. სევასტოპოლში იქნება. ეს გადაწყდა ელცინისა და კუჩმას უმაღლესი დონის შეხვედრაზე კიევში. შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე ელცინმა განაცხადა, რომ რუსეთ - უკრაინას შორის არსებული უთანხმოება შავი ზღვის სამხედრო ფლოტის ირგვლივ მთლიანად დარეგულირებულია. ექსპერტთა აზრით, უკრაინა ასეთ დათმობებზე ყირიმის კრიზისის გამო წავიდა.

TAVISUPALI SAKARTVELO
(FREE GEORGIA)
N13 (1995)
in brief

## Kidnapped Victims Did Not Appeared in the Court

On June 9 recommenced Court hearing of Jumber (Kakha) Kardava Case. During about two weeks the Court Board in vain was waiting for the kidnapped victims Gventsadze, Khazalia, Saralidze and others to appear in the Court to give testimonies. Evidently they did not consider it reasonable to appear in the Court. Judge Bibilashvili was impelled to announce the testimonies given by the "victims" in the process of preliminary investigation. All captured unanimously stated that they had plenty of food and nobody abused them. Every day they were taken to the river, their guards used to leave their weapons on the beach and they bathed together. In one case when the kidnapped victims while walking in the yard expressed the wish to have some fruits, their guards having rested the guns against the tree climbed up and picked pears for them... At a the Session was announced medical certificate according to which Kardava was supposedly wounded as a result of shell explosion. According to the statements of the defendant and his lawyer Kardava was wounded in hand during the war actions in Abkhazia. Lawyer Vladimer Kiria demanded from the Court to announce the complain made on the name of Prosecutor General J. Babilashvili on January 9, 1995. This complain contains detailed description of the violations that took place from the moment of the defendant's arrest to the completion of investigation and provides examples confirming the biased attitude of the investigator Chincharauli in the course of the preliminary investigation. As it became evident the warrant Kardava's arrest was given by Tsalenjikha Prosecutor's Office without bringing against him the charges envisaged by the Criminal Code. He was not interrogated by Tsalenjikha Prosecutor, moreover, the Prosecutor even did not see him. The document about the detention of the defendant does not exist - the case contains only its copy; a number of interrogation protocols are not signed by the defendant etc. The lawyer has never received any answer to this complain. After the materials of the case were announced the floor was given to the Prosecutor V. Tsereteli. He considered Kardava's guilt confirmed and demanded 4 years imprisonment. The lawyer declared to the Court that Kardava's guilt was not proved, no direct witnesses and proofs of his guilt exist, and demanded to release the defendant. In June 13, the Court Board recognized Kardava guilty in temporary depriving of several persons from their personal liberty and sentenced him to 3 months imprisonment in the colony with strict regime.

## Political Squaring of Accounts Continues

The "investigation" of the case of the member of the Supreme Council, Chairman of Human Rights Commission, political prisoner Zaur Kobalia which continued for many months is over. It became known to us that during the whole period of the preliminary investigation the political prisoner was refusing to give testimonies and even after presenting to him the final charge he refused to give his final testimony - as a result he was visited by the Prosecutor General of the Republic of Georgia J. Babilashvili to the Ortachala Prison and compilation of the respective Protocol in his presence. Zaur Kobalia does not recognize himself guilty in committing of numerous charged brought against him and does not sign the documents compiled in the process of investigation. A new political process is likely to begin in the nearest future. Badri Zarandia Declared Hunger-StrikeOn October 30, 1994 in Zugdidi was detained vice-colonel of the National Guards, Commandant of Zugdidi town, 28 years old Badri Zarandia. When the wounded Zarandia was detained he was taken to Zugdidi hospital where he was subjected to the urgent surgery. On October 31 after the instruction of Zugdidi police chief Nugzar Svirava were arrested the sisters of Badzri Zarandia and for 5 hours they were kept in the cell of preliminary detention. Zarandia's brother-in-law who came to the hospital to learn about the results of the operation was severely beaten, while Zarandia's father was met with gun fire. Several days later the patient whose condition was critical was subjected to the second operation with complete amputation of the right leg. To awaken him from narcosis were used heavy blows at head and face made by guns... Zarandia's sisters who came to the hospital to learn about the state of his health were verbally and physically abused in the yard of the hospital by Nugzar Svirava and his staff. The patient who was still under narcosis was forced to give testimonies under the pressure of inhuman beating. Immediately after transferring to Tbilisi Badri Zarandia whose physical condition was very grave was placed in the Republican Prison Hospital where was saved from death only thanks to care of the Hospital medical personnel. On June 6, 1995 the patient appealed to the Chairman of the Human Rights Committee A; Kavsadze and Prosecutor General J. Babilashvili: Zarandia expressed his protest in relation with violation of his human rights and objected to the lawyer Otar Berishvili candidature: " I do not need a lawyer who does not defend my interests and obediently fulfills the instructions of the authorities. In case if my objection is not satisfied I refuse from giving testimonies, confrontation and conversations with investigator." Then on June 12 the patient whose health state was still serious was transferred to the investigation isolator. On the same day was declared hunger-strike with demand to satisfy Zarandia's objection and transfer him to the Republican Prison Hospital. If his demands are not satisfied in the next few days Zarandia is going to declare dry hunger-strike, which will undoubtedly threaten his health.

## Had the Lawfulness Gained Victory in Its Time...

On June 16 the regular Court Session of Otkhozoria-Shurgaia Case began with the speech of lawyer Temur Goksadze:"It is difficult to defend a man who is charged with high treason and banditism. Procurator in his speech relayed on materials of the preliminary investigation without any critical analysis and assessment. At the same time, on May 17 in the indictment made at the hearing of Tolordava's Case my client Valter Shurgaia was already considered as the participant of the plot and a criminal. Hence I considered my speech at this Session absolutely unnecessary. But besides the professional there is a moral duty and I do hope that the Court when it is in consultative room, will objectively consider the Case. High treason charge should be brought against real traitors - such sentence should be a nation sentence, not a method of oppression of political opponents. Otherwise, the very essence of Fatherland loses its sense. We should take into account the political-psychological burden of the Prosecution, which is manifested in indictment as well. In it the events of 1991-1992 are considered as a starting point. Indeed, it was a tragedy and had the superiority of the Law gained victory in its time, who knows, may be today we would not have to face such tragic results as impairment of the national consciousness, loss of territorial integrity, triumph of unlawfulness; repeated submission of Georgia to the foreign country. We at all stages of the Court investigation declared that the Case did not contain direct and indirect proofs of the crime envisaged by Articles 65 and 78. Actually there are not witnesses against the defendant. Witnesses either do not know him or he is known to them as a dissident and a deputy. Presented here are the facts from other Cases which are still in the stage of investigation, for example the facts from the Case of Vakhtang (Loti) Kobalia. It surprising why the investigation calls the events that happened in past the conflict between the authorities and opposition, while their qualification will never be the object of argument for our descendants. This impels me to dwell on lawfulness: juridically the lawful constitutional order was forcibly overthrown . It is a State crime and all its results are juridically illegal even if "legalized" by elections or in any other ways. For this reason the formulation of Prosecution is unjust. As for abusing sovereignty, all is the other way round - to this testified Referendum of March 31. 1991 and Act of Independence of April 9, 1991. It is the present Government that denied its own program and entered Georgia into the Commonwealth of Independent States and legalized Russian Military Force. According to the indictment, he President is blamed for the defeat in Abkhazia war. No proofs of such charges can be found in the Case. The very activities of Shurgaia, his speeches, press, testimonies given at preliminary investigation testify to the contrary - he was supporting the struggle for territorial integrity of Georgia. Valter Shurgaia did not commit high treason and I demand to discharge him from the accusations envisaged by this article. No proofs of his participation in bandit actions are to be found in the Case either. He did not personally participate in murders, setting fires, attacks on these or those objects, neither was he the organizer of such actions. The way of his struggle was a peaceful one. If these charges are based on he fact that the Session of the Supreme Council of September 2, 1993 restored him to his authority, then they are absolutely unreasonable.Special consideration deserves his speech made at the rally of October 23. The are solid grounds for it. Shurgaia had seen himself how the governmental troops were murdering, raping and torturing people. And the population was again facing the danger of repetition of such tragedy. That is why Shurgaia appealed to them to defend their families. He had solid grounds for this. Unfortunately Shurgaia's anticipation's came true - Samegrelo was once more raided. Shurgaia did not form any bandit group and I appeal to the Court to acquit him of this charge as well. Though the charge envisaged by Article 238 (illegal carrying of arms) falls under Amnesty (parts 1,2), the defendant dose not recognizes himself guilty. On August 4 he was given the right to have arms on him. That this fact is not confirmed shall remain on the conscience of those witnesses who know about it and did not appear before the Court. Thus, I ask the Court to make a verdict of "not guilty" for the actions envisaged by Articles 213 and 214. The same may be said about using false passport. He personally considers this fact as very unpleasant and unworthy, however, to my mind when one's life is in danger such crime is justified. In those days anyone could settle squares with the supporter of the President. That is why I will not dwell on details. Valter Shurgaia could leave Georgia, but he did not since he loves his Fatherland and is sure that he is not guilty before her. He prefers to spend 15 years in jail to emigration. I demand to acquit the defendant because the case does not contain the proofs of his guilt.

## This Hearing is Used for Political Squaring of Scores

Lawyer Navrozashvili's SpeechMy client Gocha Otkhozoria is charged with the crimes envisaged by Articles 65, 78, 238 of Criminal Code of the Republic of Georgia. As it is known they mean spying, desertion to the enemy, participation in plot and forming armed bands with the aim of seizing the power, attacks on gas pipelines and other objects, illegal carrying and keeping of arms etc. To confirm the guilt there must exist corpus delicti - its object and subject. If the sovereignty of Georgia, state security, various enterprises are the objects, there must also be a subject - band of criminal. In the indictment G. Otkhozoria is considered as a subject without any sound reasons. Even confession of Otkhozoria is not contained in the Case. No witness exists who would name him as the person who had committed the above crimes. On the contrary, telejournalist Osepaishvili in his report when informing the televiewers about the celebration of two armies unification, characterizes Otkhozoria as a patriot. The witness Gabunia says that the only thing he had taken from Abkhazia was his own weapon. Witness T. Kiria (Chief of Zugdidi Police): From the beginning till the end he was fighting in Abkhazia. Testimonies of the witnesses Beriashvili, Sordia, Zhvania confirm the same. Where did the investigation take it from that Otkhozoria is a traitor of his Fatherland? This is purposeful action directed to creation of the enemy image. Now about the blocking the ways for the refugees: Fom the testimonies of the witnesses Z. Berdekhelia, R. Petriashvili, T. Kiria it is evident, that it were the President and his supporters who were evacuating the refugees from the zone of war actions. According to the testimonies of T. Kiria, the Chief of Police, by the order of the President 18 cars were sent to Ochamchire to evacuate the population after disorderl[illegible] Governmental troops from this region. In those days TV and press were causing false alarm about President's supporters blocking ways for refugees. Indictment is of very general nature and is aimed at bringing charges against the President. It is a slander rather than indictment. What was investigation doing for 14 months? Why the case does not contain the testimonies of the witnesses which are favorable for the defendant? Why were interrogated the false witnesses, especially as their testimonies had nothing to do with the present Case? All this happened because the investigation became an obedient slave of the authorities. The investigation would have served the justice had it relied on facts. The episode of Otkhozotria's arrest is the summit of unlawfulness. he has never hidden his views, but was ready for reconciliation for the love of his Fatherland. It comes out that agreement made between O. Patsatsia and K. Gvaramia was nothing but a trick, as a result of which some received high posts while others found themselves in the dock. At the same time a high rank official Patsatsia was not even bothered by calling to the Court Session as a witness. All this happens because superiority of the Law does not exist in this country and this hearing is used for political squaring of scores.Unprecedented is the following fact: on October 27, 1993 the Prosecutor General is giving the arrest warrant though the materials of the Case do not exist. Shall we believe that he is not aware of Article 121? Or what force can have the testimony of the witness such as Berdekhelia, who first was initially searched by 15 men and then for a week was subjected to continuous interrogation?- I was not allowed to sign the interrogation Protocols in some cases... I did not read them, they read them for me... I have not seen Chechens... I have not seen Absandze and Gelantia, it was the investigator who told me that they were there. Vishinski's method is in effect still. To this testifies the sentence passed on May 17 to Tolordava.Our hearing is not finished yet and the other judge makes verdict where our clients are already recognized guilty. It is a queer thing which could have taken place only in democratic Georgia. There is a limit even to a lie. Who has lost territories and drown Georgian people to impoverishment will be decided by georgia people. Waht made Otkhozoria to take arms? Why did the murderers and drug addicts raided Samegrelo three times making no excuses for sex or age? Provided Otkhozoria did commit crime, there is Article 16 about the urgency. Though in the Case are not contained the proofs of such action. We deny the Amnesty for those Articles which it envisages since the defendant should not be recognized guilty in committing them. For this reason I will not dwell on the written right to carry the arms which was torn by K. Adamia at the time of Otkhozoria's arrest.Mr. Chairman, Mr. State Prosecutor!factual authorities are longing for political squaring of scores, but the patriots are already so tempered that nothing can stop them. The triumph of evil in Georgia is temporary. The verdict of "guilty" today is nothing but demonstration of force. Your verdict will determine what place you will have in the history of Georgian jurisprudence. I appeal to you with request to refuse from the vicious Soviet practice and pass the verdict of "not guilty". You will be true before the Law and people!

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia